შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: ცალკეული სახის მკვლელობების გამოძიების მეთოდიკა

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **ქეთევან ჯანდიერი**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი სერგო ჭელიძე

თბილისი

2021

შინაარსი

ანოტაცია ---------- 3

Annotation ---------- 4

შესავალი ---------- 5

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 7

თავი II. ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დახასიათება ---------- 11

2.1. თვითმკვლელობის ტიპოლოგია ---------- 17

2.2. თვითმკვლელობამდე მიყვანა ---------- 21

2.3. დამნაშავის ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური ტიპოლოგია ---------- 28

თავი III. ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ჩასატარებელი სამედიცინო-კრიმინალისტიკური და ცალკეული საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებები ---------- 32

3.1. შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერება---------- 37

3.2. გვამი, როგორც „უვარგისი“ ნივთმტკიცება ---------- 42

3.3. სპეციფიური მკვლელობების გამოძიების მეთოდიკა ----------47

თავი IV. კვლევის შედეგები---------- 52

დასკვნა ----------56

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 59

შესავალი

თემის აქტუალობა. ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები დღევანდელობაში მძაფრად გამოხატულია იმაში რომ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიოს სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ, განსაკუთრებით იმ საქმეებს, რომლებიც, გარკვეული მიზეზების გამო, საზოგადოების ყურადღების ეპიცენტრში მოხვდა და გასაჯაროვდა. მრავალთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ, ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ ისეთი ტიპის დანაშაულებს, რომლებიც იმდენად „სუფთადაა“ შესრულებული, რომ ძალიან ჭირს დადგენა - ეს იყო „თვითმკვლელობის ინსცენირება,“ (ანუ, კარგად დაგეგმილი განზრახი მკვლელობა, რომელიც, ოსტატურად შეფუთვის გამო, პრაქტიკულად გამოუძიებელი რჩება ან/და აბსოლუტურად შეუსაბამო მუხლით კვალიფიცირდება) „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა,“ თუ კლასიკური თვითმკვლელობა. (რომლის შემადგენლობასაც თავისთავად ცხადია ვერ ექნება სისხლისსამართლებრივი ხასიათი.)

დღესდღეობით მეტი საშუალებაა, ე.წ. კრიმინალმა მაქსიმალურად „სუფთად“ იმოქმედოს, რაც ნიშნავს იმას, რომ დატოვოს ნაკლები კვალი. იმისათვის რომ ქმედებას მიეცეს სწორი შეფასება და კვალიფიკაცია ან/და დადგინდეს მკვლელის პიროვნება, აუცილებელია ჩატარდეს სრული გამოძიება. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევაა რომ, ყველაფერს ართულებს პრაქტიკაში არსებული ისეთი, უშუალოდ პროცესუალური შეცდომები, როდესაც ირღვევა სისხლის სამართლის მატერიალური და პროცესუალური ნორმების მოთხოვნები. ცნობილია კლიშე: „იმისათვის რომ გახსნა დანაშაული, უნდა იფიქრო როგორც დამნაშავემ“ - აქედან გამომდინარე, თუ წვდომა „ფიქრთან“ გვაქვს, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამართლებრივი საკვანძო საკითხების მიღმა ცოცხალი ორგანიზმია, რომლის ფსიქიკაც ამდენად მარტივი შესაცნობი/გაანგარიშებადი რომ ყოფილიყო, დანაშაულებიც აღარ მოხდებოდა, ვინაიდან ჩანასახშივე შესაძლებელი გახდებოდა მოსალოდნელი ფატალიზმის პროგნოზირება და თავიდან არიდება. მოგეხსენებათ, რომ ადამიანის სიცოცხლე, ეს არის ზებუნებრივის მიერ ბოძებული საუნჯე, რომელიც ხელშეუხებელი/ხელშეუვალია და მას იცავს კანონი. სწორედ ამიტომაა, რომ მისი ხელყოფის მიმართ დაწესებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით რეგულირებული სასჯელი.

კვლევის მიზანი. ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შკალას მრავალი სფექტრი მოიცავს. ჩვენი ამოცანაა ვფოკუსირდეთ/ვკონცენტრირდეთ ცალკეული სახის მკვლელობათა დანაშაულებების შესწავლაზე. გავცეთ პასუხი კითხვებს თუ, რა არის ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული? რა სახისაა? როდის იკვეთება ის? და ა.შ. კერძოდ, გამოვყოთ ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაულებანი და შესწავლილ იქნას აღნიშნულთა დანაშაულის არსი, საფუძვლები და მიზეზები, განხილულ იქნას შიდასახელმწიფოებრივი ან/და საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი საკანონმდებლო რეგულირება აღნიშნულთან მიმართებაში. კერძოდ, „კლასიკური „თვითმკვლელობის," „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის" თუ „თვითმკვლელობის ინსცენირების." ჩვენი თემის მიზანია, პრაქტიკისა და ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე გამოიკვეთოს პრობლემატური მხარეები, (უშუალოდ, გამოძიების/გახსნის სირთულეები.) ასევე, გამოიკვეთოს სხვა სპეციფიური საკითხები და გაკეთდეს შესაბამისი ანალიზი წარმოდგენილი პრობლემის არსისა და მისი გადაჭრის გზების, ხერხებისა თუ მეთოდების შესახებ.

კვლევის საგანი. ჩვენი ნაშრომის კვლევის საგანი გახლავთ, ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ცალკეული სახის, (რომლებიც წინამდებარე აბზაცში ხსენებულ იქნა) დანაშაულებათა მაკვალიფიცირებელი, არსებული კანონმდებლობის და მიდგომების შესაბამისად განხილვა. კერძოდ, დანაშაულის გამოვლენის, მისი აღკვეთისა და თავიდან აცილების თავისებურებებათა ანალიზი.

კვლევის მეთოდები. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა შედარებით-სამართლებრივი, სისტემური და ლოგიკური ტიპის კვლევის მეთოდები. ნაშრომის საინფორმაციო ბაზას კი წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები/სახელლმძღვანელოები და ნორმატიული მასალა, ასევე ინტერნეტრესურსით მოკვლეული სხვადასხვა წყარო.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

პროფესიული/სპეციალური კუთხით, იმას, რასაც ფუნდამენტური, ძირეული და საფუძვლიანი ჰქვია, რაც კი გამოსაგონი ჰქონდა კაცობრიობას, ფაქტობრივად ყველაფერი უკვე გამოგონილი და განმტკიცებული აქვს. მითუმეტეს, სამართლებრივ და სამედიცინო ინსტიტუტციას, რომელიც მრავალი საუკუნეა, უძველესი დროიდან ყალიბდება და ჩვენამდე მოაღწია.

მკვლელობათა ცალკეული სახეების შესწავლაში დაგვეხმარა შედარებით-სამართლებრივი კვლევისათვის გამოყენებული ისტორიული წყაროები. კერძოდ, ალ. ვაჩეიშვილის „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტომი I.“ ასევე, ივ. ჯავახიშვილის „თხზულებანი 12 ტომად. - ტომი VII.“ ასევე, ქრესტომათიული ნაწარმოები გ. მერჩულის მიერ დაწერილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და გ. მთაწმინდელის ნაწარმოები „ცხოვრება და მოღვაწეობა წმინდისა მამისა ჩვენისა, გიორგი მთაწმინდელისა.“ სისხლის სამართალწარმოების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ კონკრეტული პირის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, მის წინააღმდეგ სისხლისამართლებრივი საქმის აღძვრის (დევნის დაწყების) საფუძველი.

ჩვენი ნაშრომის ინტერესის არეალი „ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა“ ცალკეულ სახეებს მოიცავს. მსგავს დანაშაულებათა დაკავშირებით, კერძოდ რაც შეეხება „თვითმკვლელობის ინსცენირებას,“ „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანას,“ ან ტიპურ „თვითმკვლელობას“ (ამ უკანასკნელს სისხლისსამართლებრივი ხასიათი არ გააჩნია.) ამ დანაშაულებებზე უამრავი მოსაზრებები არის განხილული სხვადასხვა ნაშრომებსა თუ იურიდიულ ლიტერატურაში. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა, რომ მოგვეძიებინა სხვადასხვა წარმომავლობისა და სახის წყაროები/ინფორმაცია, რათა გაგვერკვია, თუ როგორ ხდება აღნიშნულ დანაშაულებათა კლასიფიკაცია, დიფერენცირება თუ კვალიფიკაცია სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყებამდე თუ პროცესში. აღნიშნულ დანაშაულებათა არსის შესწავლაში დაგვეხმარა, ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I.

წარმოდგენილ ნაშრომში წამოჭრილი საკითხების თვალსაჩინოებისათვის ასევე შესწავლილ იქნა უპირველესად ადგილობრივი/შიდასახელმწიფოებრივი და სისხლისსამართლებრივი საერთაშორისო კანონმდებლობა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ადგილობრივი კანონმდებლობიდან გამოვიყენეთ: „საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსი“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, ხოლო საერთაშორისო სამართლის აქტებიდან გამოყენებულ იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ჰააგისა და ჟენევის კონვენცია, ასევე რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი.

კვლევის პროცესში შესწავლილი და გამოყენებულ იქნა პროფესორ შ. ფაფიაშვილის სახელმძღვანელო „მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის პრობლემები“ ასევე, რაც, დაგვეხმარა როგორც გამოძიების პრობლემატიკის გადასაჭრელი მეთოდის შემუშავებაში, ასევე დანაშაულის გარკვეული კრიმინალისტიკური სპექტრების აღნიშვნასა და გაანალიზებაში.

კვლევის პროცესში გამოყენებული ლიტერატურა, კერძოდ, კრიმინოლოგიური, კრიმინალისტიკური, საპროცესო, ფსიქოლოგიური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განხრით თუ სხვა, გვეხმარება იმაში რომ, სინთეზურად მკაფიოდ გამოხატულ იქნას ჩვენი კვლევის ობიექტის, კერძოდ, ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების ცალკეულ სახეთა არსი, ხასიათი, მიზანი, ხერხები, მეთოდი და მათი გამოძიების პრობლემატური სპექტრების აღმოსაფხვრელი მექანიზმი. იმისათვის რომ, გავერკვეთ მსხვერპლისა და დამნაშავის ფსიქოლოგიურ პორტრეტში, რაც დამეთანხმებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, გვეხმარება ჩვენს მიერ ნაწარმოები კვლევისთვის გამოყენებული Durkheim's Suicide: a century of research and debate. W. S. F. Pickering; Geoffrey Walford; British Centre for Durkheimian Studies - სახელმძღვანელო, ასევე, Артемов А.Ю. „Психологическая сущность преступного поведения.“ და „Погодин И.А., Суицидальное поведение: психологические аспекты“ აღნიშნულის დახმარებით, ჩამოყალიბებულია „თვითმკვლელობის ტიპოლოგია,“ ვინაიდან, მოგეხსენებათ, იმისათვის რომ, კატეგორიულად გამოირიცხოს ტიპური, ანუ კლასიკური სახის „სუიციდი“ აუცილებელია ვიცოდეთ, რა არის ის და როგორ ფსიქიკურ მდგომარეობაში მყოფმა პირმა შესაძლოა „მოაწეროს ხელი“ მსგავსზე.

ჩვენს მიერ გამოყენებული სახელმძღვანელო „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში“ გვეხმარება იმაში რომ, კრიმინოლოგიური კუთხით დავინახოთ გარკვეული ტიპის საკითხები. კერძოდ, ისეთი ეპიზოდები, რისი „არ ცოდნაც“ გარკვეული დილემის წინაშე აყენებს გამოძიებას და იგი რთულდება ან/და ხდება არაადექვატური კვალიფიკაცია ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების როგორიცაა, ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ტიპები. კერძოდ, „თვითმკვლელობის ინსცენირება,“ „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა,“ ან კრისტალიზირებული, ტიპური/კლასიკური „თვითმკვლელობის“ შემთხვევა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან შემხებლობაში ვ.ს შანიძის „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა“ ასევე, „სამოსამართლეო-საექიმო გვამების გამოკვლევის წესები“ და Шардин С.Ф., Гирько С.И., Николаев С.В., Верхолина Е.В., Николаев В.Н., Николаева Г.С., Судебная Медицина (общая и особенная части), გამოყენებული ნაშრომები გვეხმარება განვასხვავოთ გვამის პათოლოგანატომიური კვლევა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მიერ ჩატარებული კვლევისგან. ასევე ზემო აღნიშნული წყაროები გვეხმარება იმაში რომ გამოკვეთილი იყოს სპეციფიკა კვლევის ეფექტურად წარმოებისა უშუალოდ, სამედიცინო-კრიმინალისტიკური კუთხით, რაც როგორც აღინიშნა მოიცავს გვამის არსებობისას მის გარეგან და შინაგან დათვალიერებას. აღსანიშნავია ისიც რომ, „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა“ არის სამედიცინო განათლების მიმართულება, კანონშიც მითითებულია რომ ექსპერტი უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენციისა და განათლების მქონე კვალიფიცირებული ექიმი. თუმცა აქვე აღსანიშნავია, ეს არ გამორიცხავს იმას რომ, იურისტმა იცოდეს ზემოაღნიშნული სფერო. სწორედ ამ უკანასკნელის განსამტკიცებლად გვეხმარება, ჩვენს მიერ მოკვლეული საკითხები ბ. კილასონიას მიერ დაწერილი სახელმძღვანელოდან „სასამართლო მედიცინა” მისი დახმარებით ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა გვამი, მისი მდგომარეობა, ტიპები და ა.შ. რაც გვაძლევს დანაშაულის შემთხვევაში ინფორმაციას ერთ-ერთი მთავარი ნივთმტკიცების ირგვლივ. მისი დახმარებით დგინდება გვამური ცვლილებების ადრეული თუ გვიანი პროცესები, სიკვდილის ხანდაზმულობის დადგენა და ა.შ. აქვე აღსანიშნავია შემდეგი, ზემოხსენებული სახელმძღვანელოს დახმარებით დადგენილია გვამის ხელოვნურად განადგურების ფაქტორებიც, რისი პროვოცირებაც შესაძლოა გამოიწვიონ მწერებმა რაც ირკვევა რომ სასამართლო-ენტომოლოგიის კვლევის საგანია.

ცალკეული სახის მკვლელობათა გამოძიების პრობლემატიკასა და მათი გადამწყვეტი მექანიზმის შემუშავებაში, დაგვეხმარა თ. კენკებაშვილის ნაშრომი, „მკვლელობათა გამოძიების მენეჯმენტი,“ „Научно-исследовательский институт - проблем криминологии, криминалистики и судебной экспертизы. Использование естественнонаучных знаний при расследовании насильственных преступлений“ ასევე, „განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია“ რ. კვარაცხელიას ავტორობით.

პრაქტიკულ კონტექსტში ჩვენს მიერ წარმოებული კვლევა განზრახი მკვლელობა - „თვითმკვლელობის ინსცენირების“ სახით, და „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა,“ დაფუძვნებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ, რეგისტრირებულ დანაშაულთა ყოველწლიურ სტატისტიკურ მონაცემებზე და მათი შეჯამების შედეგად მიღებულია კონკრეტული დანაშაულის მაჩვენებელი

კოეფიციენტი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ, სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა ცხადჰყოფს და განამტკიცებს მოსაზრებას რომ, პრაქტიკულ-სამართლებრივი თუ თეორიული სპექტრის მიმართულების ცოდნის სინთეზი, აუცილებელია იმისათვის რომ, გამოძიება წარმოებული იყოს მართებულად, ამასთან, შემუშავებული იქნას საქმის გახსნისათვის ეფექტური მეთოდი, ხერხი და სხვ.; დანაშაულებრივ ქმედებას ადექვატურად შეესაბამებოდეს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების მაკვალიფიცირებელი მუხლი და რაც მთავარია, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი „საქმის გაუხსნელობის“ შანსები.

თავი II. ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დახასიათება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შედგება ორი ნაწილისგან: 1. ზოგადი და 2. კერძო. მოკლედ რომ განვმარტოთ, ზოგადი ნაწილი არის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემადგენლობისთვის ჩამოყალიბებული საერთო პრინციპები, ცნებები, ნიშნები და ინსტიტუტი. რაც შეეხება კერძო ნაწილს, აქ გვხვდება დანაშაულთა კონკრეტულად მადიფერენცირებელი და კანონის შესაბამისად რეგულირებული ნორმები ამა თუ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღმოსაფხვრელად.

იმისათვის, რომ ვცხადყოთ, კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების მაკვალიფიცირებელი მუხლი არის თუ არა ადექვატური, არის თუ არა დღევანდელობასთან შესაბამისობაში ან/და იქონია თუ არა „კანონმა“ რაიმე სახის ფორმირება, მეტიც, როგორია ეს ცვლილება, აისახა დადებითად თუ უარყოფითად, ამისათვის აუცილებელია მრავალწახნაგოვანი ცონა.

ამის დასადგენად უპრიანია, თუ უპირველესად, ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ამკრძალავი თუ წამახალისებელი (ე.წ. „პოზიტიური“ ან/და ახსნა-განმარტებითი) უძველესი ნორმები, შედარებული/შეფარდებული იქნება ძველსა და შემდეგ ახალთან მიმართებაში. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი ანალიზის შემთხვევაში განხილული უნდა იყოს როგორც ზოგადსამართლებრივი და სინთეზური სპექტრები, ასევე საკუთარი ქვეყნის სამართლის სკოლის ინსტიტუტი „უძველესი დროიდან“, რა იყო, რა გვაქვს და რა იქნება უმჯობესი იმისათვის, რომ იგი მეტად დახვეწილი გახდეს და სრულყოფილებასთან ერთი ნაბიჯით მაინც მიახლოვდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემამ გარკვეული სახის ცვლილებები განიცადა. ამჟამინდელი, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი დაყოფილია XV კარისგან, რომელშიც დანაშაული დაჯგუფებულია გვარეობითი ობიექტის მიხედვით. ჩვენი ინტერესის სფერო არის სსსკ-ის VII-ე თავი და მასში განთავსებული კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების მაკვალიფიცირებელი მუხლი.

სსსკ-ის კერძო ნაწილში VII-ე თავი დასათაურებულია, როგორც: „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“, სადაც გაერთიანებულია ისეთი თავები, როგორიცაა: დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ, დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ, საფრთხის შექმნა ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის და ა.შ.

უდავოა, რომ ფუნდამენტური პრინციპები, ცნებები და სხვა მრავალი რამ არის სამართლის „მრავალსართულიანი შენობის“ საძირკველი, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი რამ: რას ვადარებთ კონკრეტულს? თუ ვსაუბრობთ მსოფლიო, ან კონკრეტული „იმპერიის“ სამართლის სკოლაზე, უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ „თანამედროვე სამართლის სტანდარტები“ ან/და სამართლებრივი თუ სახლემწიფოებრივი განვითარების დონე, არამედ ეთნოსი, კულტურა, ტრადიციები, განვითარების დონე ზოგადსაკაცობრიო საკითხვებში საზოგადოების უმრავლესობისა, რომლის ფორმირებასაც გარკვეული დრო ესაჭიროება.

თუ კონკრეტული შეფარდებულია საკუთარ სამართლის ინსტიტუტს, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ, „მაშინდელი“ ადამიანის ცხოვრება (შესაძლებლობები, გარემო და მრავალი სხვა) ჰგავს თუ არა დღევანდელს? საზოგადოებამ განიცადა პროგრესი (ანუ, წინსვლა) თუ რეგრესი? ამ ყოველივედან გამომდინარე, კანონი გასამკაცრებელია თუ პირიქით? სწორედ ამ საკითხის უკეთ განსახილველად ჩვენ შევეხებით საქართველოს სისხლის სამართლის მომქმედი კოდექსის კერძო ნაწილში მოცემულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს.

როგორც ცნობილია, არსებობს „ადამიანის სიცოცხლის წინააღდმდეგ“ მიმართული დანაშაულის ცხრა სახე. ესენია: განზრახ მკვლელობა (სსსკ-ის 108-ე მუხლი), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსსკ-ის 109-ე მუხლი), მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (სსსკ-ის 110-ე მუხლი), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსსკ-ის 111-ე მუხლი), დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (სსსკ-ის 112-ე მუხლი), მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (სსსკ-ის 113-ე მუხლი), მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომის გადაცილებით (სსსკ-ის 114-ე მუხლი), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსსკ-ის 115-ე მუხლი) და სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (სსსკ-ის 116-ე მუხლი.)[1]

სანამ კონკრეტულის განხილვას დავიწყებდეთ, პირველი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რა არის მკვლელობა? მკვლელობა არის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული და კანონით დასჯადი ისეთი ქმედება, რომელიც იძულებით ან/და განზრახვით ხელყოფს სხვა ადამიანის სიცოცხლეს. მკვლელობა სამართლებრივად, მორალურად თუ რელიგიურად, უმძიმესი დანაშაულია, რომელიც საუკუნეებია თან სდევს კაცობრიობის არსებობას.

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VII, „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“, თავი XIX, „დანაშაულის სიცოცხლის წინააღმდეგ“, თბ., 1999; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი: წიგნი I, ავტ.: მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 27.

მკვლელობის განსაკუთრებული საშიშროება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს უკანასკნელი ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეუხებლობის ნუსხაშია. იგი სწორედ იმიტომ გახლავთ , რომ იგი აღუდგენელია.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიცოცხლე ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი უფლებაა სხვა ფუნდამენტურ უფლებათა შორის. შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფო, მისი იურისდიქციის ჩამოყალიბების დროიდან დღემდე, იცავს ადამიანის სიცოცხლეს სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმების რეგულირებით, რაშიც, რა თქმა უნდა, არც საქართველო გახლავთ გამონაკლისი.

მსოფლიო პრაქტიკაში მკვლელობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისგების საკითხი ყოველთვის წარმოადგენდა ადამიანთა ფართო თუ ვიწრო კონტიგენტის წარმომადგენლების, მასის, მეცნიერთა თუ პრაქტიკოს/თეორიტიკოს იურისტთა ყურადღების საგანს.

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თემის აქტუალობაზე მიგვანიშნებს კრიმინალის მსოფლიო სტატისტიკა, რომელიც პერიოდულობით ხასიათდება. კერძოდ, გარკვეული დროის განმავლობაში სტატისტიკური მაჩვენებლით დგინდება, რომ კრიმინალმა იკლო. გარკვეული პერიოდის მანძილზე კი შეინიშნება აშკარა მატება.

მსოფლიომ განიცადა უდიდესი გარდატეხა მენტალურ, კულტურულ, ტრადიციულ თუ სხვა საკითხებში. კაცობრიობამ რომ უდიდესი გარდატეხა განიცადა, ეს უდავო ფაქტია. „კაცობრიობას თითოეული მკვლელობა, ყოველ ჟამს ცოდვად და სააუგოდ არ მიაჩნდა.“[2] დღესდღეობით კი, თუ გადავხედავთ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, კერძოდ, ჟენევის კონვენციაზე მიღებულ წესდებებას: გენოციდზე, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე თუ სამხედრო დანაშაულზე, ვნახავთ რომ, ომის შემთხვევაშიც კი დაცულია ადამიანის სიცოცხლე, ვინაიდან დასჯადია ამ კონკრეტულის ხელყოფა.[3]

იდეურად მსოფლიოს „გათანამედროვებას“ უნდა მოჰყოლოდა ბევრი რამის „გამარტივება“, მათ შორის, ცალკეული სახის მკვლელობების გამოძიებაც. მაგრამ ვითარდება არა მხოლოდ სამართლის სკოლა, არამედ ადამიანიც. გამოდის, რომ ცხოვრების განვითარების ტენდენციამ დროსა და სივრცეში განაპირობა ტექნოლოგიური კუთხით პროგრესი, მაგრამ ადამიანის მიერ შექმნილი „ხელოვნური ინტელექტი“ მისი მტერი გახდა. დღეს დამნაშავეები ბევრად უფრო კარგად ინფორმირებულნი არიან, სანამ კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენენ, ვიდრე, პირობითად, VIII-ე საუკუნეში.

VIII საუკუნეს შეეხო საკითხი და აქ არ შეიძლება მაგალითი არ მოვიყვანოთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-დან, სადაც ავტორი წერს, რომ „ფარულად მოუწოდა

[2] ი. ჯავახიშვილი, „თხზულებანი 12 ტომად“, ტომი VII, თბ., გვ. 1984, გვ. 221;
[3] The Geneva Convention Of 1949 And Hague Convention NO. IV Of 1907.

ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და მაგრად მოისარსა, და აღუთქუა მიცემად სამი გრივი ფეტვ და ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისსა.“[4]

ამ ფრაგმენტიდან მკაფიოდ ჩანს, რომ VIII–X-ე საუკუნეების საქართველოში ადამიანის მოკვლა შეკვეთით საკმაოდ გავრცელებული დანაშაული გახლდათ. ეპიზოდიდან ჩანს, რომ ანჩის ეპისკოპოსმა, ვინმე ცქირმა, თავისი მამხილებლის და მტრის, გრიგოლ ხანძთელის, მოკვლა განიზრახა. ჩანაფიქრის განსახორციელებლად კი „მკვლელი დაიქირავა.“ საინტერესოა, რომელი დანაშაულის სახეს შეუფარდებდა ბრალმდებელი მოქმედი სსსკ-ით გათვალისწინებულ ნორმათაგან.

X-XI-ე საუკუნეში კიდევ გვხვდება ქრესტომათიულ ნაწარმოებში მკვლელობის მცდელობა. კერძოდ, გიორგი მთაწმინდელის ნაწარმოებში, სადაც იგი მოგვითხრობს თუ როგორ გადაურჩა „შემთხვევით სიკვდილს“ ექვთიმე მთაწმინდელი ათონის მონასტერში.

პირველად, როდესაც გაბოროტებულმა და გაშმაგებულმა მონაზონმა სცადა მისი მოკვლა მახვილით, ხოლო მეორედ, როდესაც მონასტრის მებოსტნე შეეცადა მისთვის სიცოცხლის მოსწრაფებას.[5] ქრესტომათიული ნაწარმოებებიდან მოყვანილი ზემოხსენებული ორივე ზემოხსენებული ეპიზოდი ძალზედ საგულისხმოა, ვინაიდან, ნათლად გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ უძველეს საქართველოში, როგორი დაუმონებელი ყოფილა ადამიანის ვნებათაღელვა. „თუკი მონასტერშიც, მონაზონებს შორის, რომელთაც ყოველსავე ქვეყნიურზე და ხორციელზე უარი ჰქონდათ ნათქვამი და მართოდენ თავიანთ სულიერსა და ზნეობრივ გასპეტაკებაზე უნდა ეზრუნათ, შესაძლებელი ყოფილა, რომ ადამიანი გულისწყრომას კაცისკვლამდე მიეყვანა.“[6]

მკვლელობა მატერიალურ დანაშაულს განეკუთვნება, რაც ნიშნავს იმას, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ შედეგს ანუ ადამიანის სიკვდილის დადგომას. ამ შემთხვევაში კი, აუცილებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. დღევანდელი მომქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებანი შესაძლოა პირმა ჩაიდინოს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობითაც. ძველი საქართველოს სამართლის სკოლაში კი ქმედების განხორციელების გარეშე შედეგის დადგომის ვერსია ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო.[7]

მაშასადამე, ადამიანის სიცოცხლის განზრახ თუ „შემთხვევით“ სიცოცხლის ხელყოფას ოდითგანვე ეწოდება „დანაშაულებრივი ქმედება“. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით რეგულირებულ, ცალკეული სახის მკვლელობათა ტიპებს,

---

[4] მერჩულე გ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“

[5] „ცხოვრება და მოღვაწეობა წმინდისა მამისა ჩვენისა, გიორგი მთაწმინდელისა.“

[6] ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტომი VII, თსუ., 1984, გვ. 223;

[7] ალ. ვაჩეიშვილი, „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, ტომი I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც., 1946.

მათი სათითაოდ განხილვა კონკრეტულ ნაშრომში ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნება. ამიტომ, შემდგომში აქცენტირება გაკეთდება მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომლებიც შემხებლობაშია თემის კვლევის საგანთან. აქვე უნდა განიმარტოს, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავიწყებთ კაზუალური საკითხების სიღრმეულად განხილვას, ვინაიდან ეს არ წარმოადგენს ამ ნაშრომის შემადგენლობის აუცილებლობას ან/და კვლევის მიზანს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი იწყება 108-ე მუხლით, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას. ამ სახის მკვლელობას ხშირად „მარტივ მკვლელობასაც“ უწოდებენ, რადგან ეს არის ისეთი მკვლელობის ტიპი, რომელიც ჩანასახშივე არ გულისხმობს დამამძიმებელ ან/და შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობას ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია მკვლელობის მოტივის დადგენა, არ არსებობს რაიმე ხარვეზის შევსების საშუალება და გამორიცხულია დამამძიმებელ გარემოებათა არსებობა, შემთხვევის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს 108-ე მუხლით.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლს, კერძოდ, „თვითმკვლელობამდე მიყვანას“, ამ დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება მსხვერპლის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანით. თვითმკვლელობამდე მიყვანა ნიშნავს მსხვერპლის მიმართ დამნაშავის მიერ რიგი არამართლზომიერი ქმედების ჩადენას, რაც, კანონმდებლის განმარტების მიხედვით, დამნაშავის მიერ გამომოიხატული უნდა იქნეს: მუქარით, სასტიკი მოპყრობით, ან/და მსხვერპლის პატივისა და ღირსების სისტემატიური დამცირებით.

აღსანიშნავია, რომ „პატივი“ და „ღირსება“ არის ადამიანის მიერ ჰიპერ-ნდივიდუალურად აღქმული ცნებები. ექსპერიმენტი რომ ჩავატაროთ და ქუჩაში 10 გამვლელი გავაჩეროთ შეკითხვით: რა არის პატივი? ან რა არის ღირსება?, ვნახავთ რომ, წარმოდგენები მსგავსზე ძალზედ ფართოა. შესაბამისად, აქ ჩნდება კითხვა, ხომ არ საჭიროებს ზემოხსენებული მუხლი კანონმდებლის მიერ მეტ კონკრეტიზირებას? თვითმკვლელობამდე მიყვანა ნიშნავს მსხვერპლის მიმართ დამნაშავის მიერ რიგი არამართლზომიერი ქმედების ჩადენას.

მუქარაში შეიძლება ვიგულისხმოთ ნებისმიერი რამ, მაგალითად, სიცოცხლის მოსპობის, თუ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების, სამსახურიდან დათხოვნის, ახლობლის მოკვლის, სახლის გადაწვის თუ სხვა ნებისმიერი სახის მუქარა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დისპოზიციაში არ არის განმარტებული/ახსნილი მუქარის შინაარსი და ხასიათი, რაც შესაძლოა სამომავლოდ ართულებდეს ქმედების ადექვატურად და სამართლიანად კვალიფიკაცირებას.

კანონმდებელი ასევე განმარტავს რომ, დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია დამნაშავის მოქმედებასა და დაზარალებულის თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

2.1 თვითმკვლელობის ტიპოლოგია

ამ უკანასკნელის განმარტებით მის არსობრივად გაცნობამდე, შეგვიძლია ჩანასახშივე დავაპროგნოზოთ, რომ საკითხი შეეხება ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ბრალდებული იყოს გარდაცვლილი, ყოველივე გონივრულ ზღვარს გასულია.

„თვითმკვლელობის ცნება საერთაშორისო კანონმდებლობასა და ლიტერატურაში მოხსენებულია „სუიციდიების“ სახელწოდებით. თუმცა, ზოგჯერ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იგი კიდევ უფრო შელამაზებული ტერმინით - „დევიაციის“ სახელწოდებით გვევლინება. მაგალითად, თვითმკვლელობის პრობლემებისადმი მიძღვნილ თავიანთ საინტერესო ნაშრომს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატებმა ზურაბ ტაბლიაშვილმა და მიხეილ მამნიაშვილმა უწოდეს „დევიაცია თვითმკვლელობა.“[8]

როგორც აღვნიშნეთ, მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით თვითმკვლელობა არ ისჯება, ამავე კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანაა“ მიჩნეული, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად. სწორედ ეს ხომ არ გახდა ერთ-ერთი „გამართლების გარანტი“ გარკვეული ფსიქო-ტიპის კრიმინალთათვის? მარტივი ან/და კარგად ორგანიზებული განზრახი მკვლელობის შესაფუთად, (თვითმკვლელობის ინსცენირების) როგორც კლასიკური სახის „თვითმკვლელობა“ ან/და „თვითმკვლელობის მცდელობა.“

გარდაცვლილის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის გარეგნულ მახასიათებლებს. არსებობს მოსაზრება, რომ პიროვნების ხასიათი გამოიხატება მისი ჩაცმულობიდან გამომდინარე. ასევე, მასზე მეტყველია ფიზიოლოგიური მონაცემები, ფიზიონომია, ტანსაცმლის ფერები, თმის ვარცხნილობა და ა.შ.

მოკლედ, ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში, უნდა გვახსოვდეს, რომ გვიწევს ცოცხალ ორგანიზმთან, კერძოდ, ადამიანთან შემხებლობა, რომელიც ან ცოცხალია ან აწ გარდაცვლილი. თუმცა, ეს უკანასკნელი არ გამორიცხავს იმას, რომ ადამიანის ფსიქოანალიზის გაკეთება შესაძლებელია. მეტიც, თუ გარდაცვლილი ნაპოვნია, ხოლო მისი ცხედარი საშუალებას იძლევა, მოგვცეს მსხვერპლზე პიროვნული ინფორმაცია მოწმეთა ან სხვათა გამოკითხა/დაკითხვამდე, გარდაცვლილის ცხედარზე დაკვირვების შედეგად შესაძლოა შეიქმნას მკაფიო სურათი, თუ რა არქეტიპი ანუ ფსიქოტიპი. რა თქმა უნდა, ეს არ არის ის ინფორმაცია, რომელიც უდავო და 100%-ის სიზუსტის მქონე იქნება. თუმცა, აშკარაა,

[8] თ. კენკებაშვილი, მკვლელობათა გამოძიების მენეჯმენტი, თბ., 2017, გვ.225.

რომ მსგავსი ტიპის ინფორმაცია საჭიროა და დაეხმარება გამოძიებას სწორი საგამოძიებო მეთოდის ასარჩევად.

თვითმკვლელობა არის საკუთარი სიცოცხლის მოსპობა. რა შემთხვევაში შეიძლება ადამიანმა მიიღოს მსგავსი გადაწყვეტილება? ვარიანტი უამრავი შეიძლება იყოს. რადგან, არ არსებობს ზუსტი ალგორითმი, რომელიც უკლებლივ ყველა ინდივიდის ერთგვარ „ფსიქო-სკანერად“ გამოდგება, ვინაიდან, გონება და ადამიანის ორგანული ბიოქიმიური შემადგენლობა, თუ მისი მუშაობა არის უნივერსალური, და მისი შეუცნობლობა კაცობრიობის დილემა გახლავთ.

თქვენ დასვამთ კითხვას, რითი შეიძლება იყოს გამოწვეული თვითმკვლელობა? აქვე გიპასუხებთ, ნებისმიერი რამით: დეპრესია, სირცხვილი, დანაშაულის განცდა, გაუსაძლისი ფიზიკური ტკივილი, ემოციური სტრესი, სხვადასხვა ტიპის გადაუჭრელი პრობლემები და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სავსებით შესაძლებელია მანიაკალური გადახრის მქონე „უაზრო მკვლელს“ ანუ დამნაშავეს წინასწარ ჰყავდეს თუნდაც დეპრესიას მიდრეკილი მსხვერპლი შერჩეული და მაქსიმალურად „სუფთად“ შეასრულოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რაც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას გულისხმობს. ღია გრაფების გამო კი ვერ დადგინდეს მისი ბრალეულობის საკითხი.

როგორც ცნობილია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, ყოველწლიურად ერთ მილიონზე მეტი ადამიანი იკლავს თავს და სიკვდილიანობის ყველაზე დიდი ნაწილი მოზარდებშია გამოვლინებული. კერძოდ, გარდატეხის ასაკში მყოფთა კონტიგენტში და აგრეთვე 35 წელს მიღწეულ ახალგაზრდებში. რაც შეეხება ფსიქოლოგთა შეფასებებს კონკრეტულ საკითხზე, მსოფლიოს პრაქტიკაში თვითმკვლელის სოციოლოგიური ანალიზის მრავალრიცხოვან ცდათაგან ყველაზე ღირებული ფრანგი სოციოლოგის, ემილი დიურკემის ნარკვევებია.

ე. დიურკემმა იკვლია და მოგვცა „თვითმკვლელობათა ტიპოლოგია.“ იგი წერს, რომ „თვითმკვლელობა, მხოლოდ ადამიანური ფენომენია, რადგან მასში ცნობიერება მონაწილეობს. თვითმკვლელობას არ მიეკუთვნება ისეთი ვითარება, როდესაც ადამიანი სასიკვდილო საფრთხეში იგდებს თავს. მაგრამ, აქ უმთავრესი ისაა რომ, ეს არ არის სიკვდილის მიზნით ჩადენილი ქცევა. თვითმკვლელობა სოცოცხლეზე თვითნებელობით, შეგნებულ და გაცნობიერებულ უარის თქმას ნიშნავს.“[9]

ე. დიურკემი „თვითმკვლელთა კოეფიციენტის“ დასადგენად გვთავაზობს თანაფარდობას ამ დანაშაულის ჩამდენი პირების რაოდენობასა და მოსახლეობის საერთო

[9] W. S. F. Pickering; Geoffrey Walford; British Centre for Durkheimian Studies (2000). „Durkheim's Suicide: a century of research and debate.“ Phsychology Press. P. 25. Retrieved 13 April 2011.

რაოდენობას შორის. ე. დიურკემმა ყურადღება ასევე გაამახვილა ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად სუიციდის გამოვლინების კოეფიციენტის ზრდაზე.

მაშასადამე, კვლევით დადგენილია რომ, არსებობს „თვითმკვლელობის ტიპოლოგია“ და არის რამდენიმე სახის. ზოგიერთი სოციოლოგი თუ ფსიქოლოგი, ამ ტიპოლოგიაში მხოლოდ სამ ტიპს სცნობს. ესენია: 1. „ეგოისტური თვითმკვლელობა;“ 2. „ანომიური თვითმკვლელობა;“ 3. „ალტრუისტული თვითმკვლელობა“. მსგავსი შეხედულების მქონე გახლდათ ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი რაიმონდ არონი. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, თავის ნარკვევებში ე. დიურკემი, თვითმკვლელობის მეოთხე, კერძოდ, „ფატალისტურ ტიპზე“ მსჯელობს.

„ეგოისტური თვითმკვლელობა“ არის ისეთი თვითმკვლელობის ტიპი, რომელიც ასახავს მსხვერპლის პირად გრძნობას/შეგრძნებას, რომ თითქოს იგი არ ეკუთვნის სოციუმს და არ არის ინტეგრირებული საზოგადოებაში. ამ „არარსებობამ“ შეიძლება გამოიწვიოს: უაზრობა, აპათია, სევდა და დეპრესია.“[10] ერთი სიტყვით, „ეგოისტური თვითმკვლელობა“ მაშინ ხდება, როდესაც ამ ქმედების ჩამდენი პიროვნება იმყოფება დეპრესიაში ან ჰქონდა პრობლემები ადამიანური ურთიერთობებისა ან/და სოციალური ფაქტორების გამო.

„ალტრუისტული თვითმკვლელობისათვის“ დამახასიათებელია მიზნებისა და რწმენების გადატვირთვა,“[11] რაც მდგომარეობს იმაში, რომ ასეთი ტიპის თვითმკვლელი პრივილეგიას ანიჭებს არათუ საკუთარ სიცოცხლეს, არამედ სხვა ადამიანის არსებობის მნიშვნელობას მის ცხოვრებაში. მსგავსი თვითმკვლელობის ტიპი ახასიათებთ ისეთი ფსიქიკის კატეგორიის ადამიანებს, რომლებმაც წარუმატებელი სასიყვარულო ურთიერთობის დასრულების შედეგად ჩათვალეს, რომ საყვარელი ადამიანის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ და ცხოვრებას აზრი დაეკარგა.

„ანომიური თვითმკვლელობის“ ტიპის ემთხვევაში კონკრეტული სუბიექტი ამ ნაბიჯს ეკონომიკური მიზეზების გამო სჩადის“[12], ხოლო რაც შეეხება „ფატალისტური თვითმკვლელობის“ ტიპს, ამ შემთხვევაში ადამიანი საკუთარ სიცოცხლეს, საზოგადოებრივი დოგმებისა თუ სტერეოტიპების გამო, „პროტესტის ნიშნად“ ასრულებს.

ამ თვითმკვლელობის ტიპი „ანომიური თვითმკვლელობის“ საპირისპიროა და ხდება ისეთი კონტიგენტის საზოგადოებებში, სადაც, „მჩაგვრელია“ გარშემო მყოფი სოციუმი, რის გამოც მსგავსი დანაშაულის ჩამდენი პირები, სიკვდილს ამჯობინებს, ვიდრე იმ სიტუაციაში

---

[10] Harriford, Diane Sue; Thomson, Becky W. (2008). When the Center is on Fire : “Passionate Social Theory for Our Times.” Austin: University of Texas Press. P. 165;

[11] Thompson, Kenneth (1982) Emile Durkheim. London: Tavistock Publications. P.109–111;

[12] Harriford, Diane Sue; Thomson, Becky W. (2008). When the Center is on Fire : „Passionate Social Theory for Our Times.“ Austin: University of Texas Press. p. 167;

ცხოვრებას.“[13] ამისი მკაფიო მაგალითი შეიძლება იყოს, პენიტენციური დაწესებულებაში მომხდარი ფაქტები - ზოგიერთ პატიმარს ურჩევნია სიკვდილი, ვიდრე ციხეში ცხოვრება მუდმივი შეურაცხყოფითა ან/და ზედმეტი რეგულირებით.[14]

თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ ე. დიურკერმი, საკუთარი ურიცხვი კვლევების მიუხედავად, მიიჩნევდა, რომ მსგავსი ტიპის თვითმკვლელობა, კერძოდ, „ფატალისტური თვითმკვლელობა“, თეორიული იყო და სინამდვილეში არ არსებობდა.

მაშასადამე, უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით შესაძლებელია, სწორედ ამ ტიპის თვითმკვლელობა მოიცავდეს სსსკ-ის გათვალისწინებით 115-ე მუხლით მაკვალიფიცირებელ დანაშაულებრივ ქმედებას ანუ „თვითმკვლელობამდე მიყვანის“ ხასიათს, რაც დაგვეთანხმებით, დანაშაულის დიფერენცირებისა და მართებული კვალიფიკაციის კუთხით, დიდ მნიშვნელობას შესძენს გამოძიების სწორად წარმოებას.

თუ ფსიქოლოგი/სოციოლოგისთვის მსგავსი თვითმკვლელობის ტიპის არსებობა აბსტრაქტულ/აბსურდულია, იქნებ ეს გახდეს იმ გონივრული ეჭვის საფუძველი, რომელიც მაპროვოცირებელი იქნება სისხლის სამართლის ნორმის დარღვევის შემთხვევაში, მეტად გულისხმიერად იქნეს წარმოებული გამოძიება.

პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თვითმკვლელი არც თუ ისე იშვიათად, საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებას არაჯანსაღი აღქმის გამო კი არა, გარე მაპროვოცირებელი ფაქტორის გამო ახორციელებს. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ჩვენ უკვე გვაქვს ცოდნა იმისა, თუ როგორია „თვითმკვლელობების“ გავრცელებული ტიპები, რომლებიც, შესაძლოა შეგვხვდეს.[15]

შესაბამისად, მსგავსის არსებობის შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე გვაქვს არა კლინიკურ ფსიქიატრიასთან, არამედ ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან, რომელიც გამოძიების ინტერესის სფეროს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, ყურადღება გასამახვილებელია განსაკუთრებით „ფატალისტური თვითმკვლელობის“ ტიპზე, რომელიც, აშკარაა, რომ „თვითმკვლელობამდე მიყვანის“ ხასიათის შემცველი შესაძლოა იყოს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მსგავსის ქმედების ჩამდენი პირი დანაშაულს უმეტესწილად, მისგან დამოუკიდებლად არსებული გარემო-ფაქტორების პროვოცირების გამო სჩადის.

---

[13] „Suicide: A Study in Sociology“ translated by John A. Spaulding and George Simpson, edited with an introduction by George Simpson. New York: The Free Press;

[14] Погодин И.А., «Суицидальное поведение: психологические аспекты», Флинта, 2016.

[15] Артемов А.Ю. „Психологическая сущность преступного поведения.“

2.2 თვითმკვლელობამდე მიყვანა

თვითმკვლელობამდე მიყვანა, ეს არის ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში იგი 115-ე მუხლით კვალიფიცირდება. კერძოდ, „თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით, ან სასტიკი მოპყრობით, ან/და მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით, ისჯება კანონით.[16]

„სსსკ-ის 115-ე მუხლის დისპოზიცია ისეა ჩამოყალიბებული, რომ ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი პირი. ობიექტი ამ დანაშაულისა არის შერაცხადის სიცოცხლე, რომელიც მიიყვანეს თვითმკლველობამდე.“[17] როგორც წინამდებარე თავში აღვნიშნეთ, ამ დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება მსხვერპლის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანით.

თვითმკვლელობამდე მიყვანა ნიშნავს მსხვერპლის მიმართ დამნაშავის მიერ რიგი არამართლზომიერი ქმედების ჩადენას, რაც, კანონმდებლის განმარტებით, დამნაშავის მიერ გამომოიხატული უნდა იქნას: მუქარით, სასტიკი მოპყრობით, ან/და მსხვერპლის პატივისა და ღირსების სისტემატიური დამცირებით.[18] კონკრეტული დანაშაულის დისპოზიციაში არ არის განმარტებული/ახსნილი მუქარის შინაარსი და ხასიათი, რაც შესაძლოა სამომავლოდ ართულებდეს ქმედების ადექვატურად და სამართლიანად კვალიფიკაცირებას.

ვინაიდან, მუქარა დამოკიდებულია მსხვერპლის აღქმაზე, იგი გამოიხატება მსხვერპლის/დაზარალებულის ინფორმირებაში ფიზიკური ძალადობის გამოყენებაზე ან პირობითად, ნებისმიერი სახის კომპრომატის გამოქვეყნებაზე და ა.შ.

მუქარამ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პირის თვითმკვლელობა, აღიარებულ უნდა იქნას იმ სახის მუქარად, „რომელიც გაცნობიერებულ და რეალურად აღქმულ იქნა დაზარალებულის მიერ, რადგან სხვა შემთხვევაში პირი თავს არ მოიკლავდა.“[19]

აქ კანონმდებელი უდავოდ აქცენტირებს იმაზე, რომ მთავარია მუქარას იყოს მართლსაწინააღმდეგო ხასიათის. იგი შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალდეჯარდი. აუცილებელია, რომ დაზარალებულის მიერ დამნაშავის მუქარა აღიქმებოდეს, როგორც მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგო „დაპირება.“ მაშასადამე, მსგავსი

---

[16] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. კერძო ნაწილი, კარი VII, „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ;“ თავი XIX, „დანაშაულის სიცოცხლის წინააღმდეგ“, მუხ. 115, თბ., 1999;

[17] რ. კვარაცხელია, „განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია“, თბ., 2008, გვ. 81;

[18] ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011;

[19] რ. კვარაცხელია „განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია”, თბ., 2008.

მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისთვის, როდესაც სახეზეა მუქარა, აღსანიშნავია შემდეგიც, რომ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს „დაპირების“ სისრულეში მოყვანის ვადებს ანუ არ აქვს მნიშვნელობა, მუქარა იმწამიერია თუ მომავალში განხორციელებადი.

რაც შეეხება სასტიკ მოპყრობას, იგი ფაქტობრივად იდენტურია არაადამიანური მოპყრობისა, რომელიც ადამიანის ღირსების შემლახავიცაა. სასტიკი მოპყრობა, ეს არის ისეთი ქცევის დემონსტრირება, რომელიც განზრახ ანუ გამიზნულად აყენებს ადამიანს მძიმე ფსიქიკურ/ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ დისკომფორტს/ტკივილს ან/და ზიანს. ამის ნათელი მაგალითია, როდესაც დამნაშავე უხეშად შეურაცხყოფს დაზარალებულს/მსხვერპლს სხვა ადამიანების წინაშე და იძულებულს ხდის რომ, ამ უკანასკნელმა იმოქმედოს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ.

„სასტიკი მოპყრობა - აღნიშნავს პროფ. გ. ტყეშელიაძე, ნიშნავს დაზარალებულისადმი დამნაშავის უსულგულო, უხეშ დამოკიდებულებას, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს. სასტიკი მოპყრობა ფართო მოცულობის შეფასებითი ცნებაა. იგი მოიცავს სხვადასხვა ქმედევას, რომელიც დაზარალებულს ფიზიკურად და ფსიქიკურად ტანჯავს (ცემა, გვემა). ცხოვრების საარსებო საშუალებების აღკვეთა, თავისუფლების შეზღუდვა, სახლიდან განდევნა და ა.შ.“[20]

აქედან გამომდინარე, სასტიკი მოპყრობა, როგორც თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანის საშუალება, შეფასებითი ცნებაა და ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. სასტიკი მოპყრობა გულისხმობს ისეთი სახის ქმედებათა ჩადენის ჯაჭვს, რომელიც დაზარალებულს განსაკუთრებულ ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას აყენებს (ცემა, ტანჯვა, უაზრო, მძიმე სამუშაოს შესრულების იძულება). როგორც აღინიშნა, იგი შეიძლება ატარებდეს სისტემატურ ხასიათს ან იყოს ერთჯერადი აქტი. მსხვერპლის მიმართ პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირება შეიძლება გამოიხატოს ფსიქოსადიზმში, შეურაცხყოფასა და სხვა ქმედებებში.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს თვითმკვლელობის ან მისი მცდელობის ფაქტის არსებობა. ვინაიდან დანაშაული დამთავრებულად ითვლება მცდელობის ეტაპზევე, თავის მოკვლის განზრახვა ან მომზადება სსსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის. დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია დამნაშავის მოქმედებასა და დაზარალებულის თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

---

[20] რ. კვარაცხელია, „განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია“, თბ., 2008, გვ. 83.

რაც შეეხება მოცემული დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, იგი გამოხატულია ქმედების განზრახ ჩადენაში. „სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახი ბრალით, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს შეგნებული აქვს, რომ მუქარით, სასტიკი მოპყრობით, პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით შეურაცხყოფილი და შეშინებული პირი აუცილებლად ჩაიდენს თვითმკვლელობას და სურს იგი, ან მას გაცნობიერებული აქვს რა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და ითვალისწინებს მოსალოდნელი თვითმკვლელობის ჩადენის შესაძლებლობას, არ სურს, რომ მის ასეთ ქმედებას მოჰყვეს მოცემული პირის თვითმკვლელობა, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.“[21]

„თუმცა, პირის მიყვანა თვითმკვლელობის ცდამდე ან თვითმკვლელობამდე შეიძლება გაუფრთხილებლობითაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პირის პასუხიმგებლობა გამორიცხულია, რადგან ამ დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენაზე კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში მითითებული არ არის. ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისგება გამორიცხულია.“[22]

ეს ნიშნავს იმას, რომ „ჭკვიანი“ დამნაშავე, აუცილებლად ასცდება სისხლის სამართლის წინაშე პასუხისგებას. ეს არის კიდევ ერთი არგუმენტი იმისა, რომ ჩვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მითითებული მუხლი საჭიროებს კორექტირებას და მეტ კონკრეტიკას, ამ დანაშაულის კლასიფიკაციასა და დამნაშავის მოტივის, მიზნის, იარაღის, ხერხისა თუ სხვა რიგი საკითხების გამოყენების შემთხვევაში ლოგიკურია.

ვფიქრობთ, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანის ხერხები შესაძლოა იყოს მრავალგვარი. ამიტომ, ზემოაღნიშნულს საჭიროა გააჩნდეს პუნქტები ან/და ქვეპუნქტები, სწორედ ისე, როგორც, პირობითად, სსსკ-ის 109-ე მუხლს, კერძოდ, „განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში,“[23] ვინაიდან, სავსებით შესაძლოა იყოს დამნაშავისგან „მარტივი“ სახის ზეწოლა, რომელსაც დაზარალებულის/მსხვერპლის ფსიქიკამ ვერ გაუძლო. შესაბამისად, მისი „ბრალეულობის“ გათვალისწინებით, დამნაშავეს ბევრად უფრო მსუბუქი სასჯელის სახე შეეფარდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ თვითმკვლელობამდე მიიყვანის მუხლი იქონიებს კონკრეტიზირებულ შემადგენლობებს და დანაშაულთა ერთობლიობის გამოკვეთით სხვა მუხლით აღარ გადაკვალიფიცირება, რადგან მკაფიოდ გამოიკვეთება სხვა დანაშაულებრივი ხერხები თუ იარაღი მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის მიზნის მისაღწევად.

---

[21] თ. კენკებაშვილი, მკვლელობათა გამოძიების მენეჯმენტი, თბ., 2017, გვ.226;

[22] რ. კვარაცხელია, „განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია“, თბ., 2008, გვ. 82;

[23] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, კარი VII, „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“, თავი XIX, „დანაშაულის სიცოცხლის წინააღმდეგ“, მუხ. 109;

ამავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია განმარტება, მსგავსი დანაშაულებრივი ქცევის, კერძოდ, პირის თვითმკვლელობამდე მიყვანის სამართლებრივი პასუხისგების საკითხი შესაძლოა დადგეს შემდეგ შემთხვევებში, თუ ეს ხდება: გენდერის ნიშნით ან არაერთგზის. მსგავსი ტიპის დანაშაული კი არის მრავალი ვერსიის მომცველი. შესაბამისად, დანაშაულის მეტად ადექვატური დიფერენცირებისთვის „თვითმკვლელობამდე მიყვანის“ მუხლი უნდა გახდეს უმჯობესად გავრცობილი. საკმაოდ კარგად აქვს დახვეწილი იგივე დანაშაულის ტიპი რუსეთის ფედერაციის კანონმდებელს. თუ გადავხედავთ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის მომქმედ კოდექსს, ვნახავთ რომ, თვითმკვლელობამდე მიყვანის ტიპოლოგიაა შემუშავებული, რაც ბევრად ამარტივებს დანაშაულებრივი ქმედების მართებულად კვალიფიცირებასა თუ დიფერენცირებას.

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი[24] ითვალისწინებს: თვითმკვლელობამდე მიყვანას, სადაც პირველ ნაწილში იგივე განმარტებას გვაძლევს, რასაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ 115-ე მუხლის პირველი ნაწილი. მაგრამ მეორე ნაწილში რუსეთის კანონმდებელი განმარტავს, რომ იგივე ქმედება ისჯება კანონით, თუ იგი ჩადენილ იქნა: „ა) არასრულწლოვანის ან/და ისეთი პირის წინასწარი შეცნობით, რომელიც უმწეო მდგომარეობაშია ან დამნაშავეზე მატერიალური ან სხვა დამოკიდებულება აქვს; ბ) ორსულობის მდგომარეობაში მყოფ ქალთან მიმართებაში; გ) ორ ან მეტ პირთან მიმართებაში; დ) პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან/და ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ე) საჯარო გამოსვლით, საჯაროდ ნაჩვენები ნაწარმოებით, მასმედიით ან ინფორმაციით თუ სატელეკომუნიკაციო ქსელებით (ინტერნეტის ჩათვლით.)[25] თუ გადავავლებთ თვალს 110.1.-ე მუხლს, ვნახავთ რომ, აქ უკვე რუსი კანონმდებელი დანაშაულებრივ ქმედებას განმარტავს, როგორც „თვითმკვლელობის გამოწვევა ან/და ხელშეწყობა.“

ეს მუხლი შედგება 6 პუნქტისგან. პირველი ნაწილის მიხედვით, განმარტებულია, რომ ეს არის ისეთი ტიპის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მიმართულია დამნაშავის მიერ კონკრეტული პირის თვითმკვლელობაში დარწმუნებისკენ, შეთავაზების,

[24] Уголовный кодекс Российской Федерации. Особенная часть. Раздел VII „Преступления против личности,“ Глава 16 „Преступления против жизни и здоровья“ Статья 110. Доведение до самоубийства. Принят ГосДумой., 1996;

[25] Уголовный кодекс Российской Федерации. Особенная часть. Раздел VII „Преступления против личности,“ Глава 16 „Преступления против жизни и здоровья“ Статья 110. Доведение до самоубийства. Принят ГосДумой., 1996;

მოსყიდვის, მოტყუების ან სხვა ფორმის სახით გამოხატული ქცევით, რომელიც თვითმკველობის ჩასადენად ხელშეწყობას ან ბიძგს მოისაზრებს.[26]

ამავე მუხლის მეორე ნაწილიც ძალიან საინტერესო გახლავთ, ვინაიდან აქ იკვეთება დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც გამოხატულია დამნაშავის მიერ მსხვერპლის მიმართ თვითმკვლელობის ხელის შემწყობ რჩევაში, ინფორმაციის მიწოდებაში ან/და თვითმკვლელობის საშუალებების/ინსტრუმენტების მიწოდებაში ან მსგავსი საშუალებებისა თუ ინსტრუმენტების გადამალვის აუცილებლობისას, მათ არშენახვაში.[27]

რაც შეეხება, ამავე კოდექსის, 110.2.-ე მუხლს, იგი მოიცავს: ისეთი საქმიანობის ორგანიზებას, რომელიც მიზნად ისახავს თვითმკვლელობისკენ სწრაფვას.[28] რაც გულისხმობს, თვითმკვლელობის სწრაფვისკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზებას, თვითმკვლელობის მეთოდების ან თვითმკვლელობის მოწოდებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით. აქაც აღსანიშნავია ინტერნეტ სივრცის კონკრეტიზირება კანონდებლის მიერ.

ამავე მუხლის, მეორე ნაწილში რუსი კანონმდებელი კვლავ განმარტავს და გამოყოფს ქვეპუნქტების სახით, სხვადასხვა გარემოებაში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, კერძოდ, „თვითმკვლელობის სწრაფვისკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზების, თვითმკვლელობის მეთოდების ან/და თვითმკვლელობის მოწოდებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში პირი აგებს შესაბამის სისხლისსამართლებრივი კანონის წინაშე.

შემდეგ კი განმარტავს, რომ თუ, ზემოხსენებული ჩადენილ იქნა: „ა) არასრულწლოვანის ან/და ისეთი პირის წინასწარი შეცნობით, რომელიც უმწეო მდგომარეობაშია ან დამნაშავეზე მატერიალური ან სხვა დამოკიდებულება აქვს; ბ) ორსულობის მდგომარეობაში მყოფ ქალთან მიმართებაში; გ) ორ ან მეტ პირთან მიმართებაში; დ) პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან/და ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ე) საჯარო გამოსვლით, საჯაროდ ნაჩვენები ნაწარმოებით, მასმედიით ან ინფორმაციით თუ სატელეკომუნიკაციო ქსელებით (ინტერნეტის ჩათვლით.)[29] ამ შემთხვევაში სასჯელი მძიმდება.

---

[26] Уголовный кодекс Российской Федерации. Особенная часть. Раздел VII „Преступления против личности," Глава 16 „Преступления против жизни и здоровья" Статья 110.1. Склонение к совершению самоубийства или содействие совершению самоубийства. Принят ГосДумой., 1996;

[27] Уголовный кодекс Российской Федерации. Особенная часть. Раздел VII „Преступления против личности," Глава 16 „Преступления против жизни и здоровья" Статья 110.1.Ч.2. Доведение до самоубийства Принят ГосДумой., 1996;

[28] Уголовный кодекс Российской Федерации. Особенная часть. Раздел VII „Преступления против личности," Глава 16 „Преступления против жизни и здоровья" Статья 110.2. Организация деятельности, направленной на побуждение к совершению самоубийства. Принят ГосДумой., 1996;

[29] Уголовный кодекс Российской Федерации. Особенная часть. Раздел VII „Преступления против личности," Глава 16 „Преступления против жизни и здоровья" Статья 110.2.Ч.2. Доведение до

უპრიანია, თუ აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელი მუხლების გაანალიზებით, რუსი კანონმდებელი შეშინდა ბოლო პერიოდში მსოფლიოს მასშტაბით მომხდარი იმ უამრავი შემთხვევით, სადაც მოზარდებისა და მცირეწლოვანი ბავშვების თვითმკვლელობამდე მიყვანის შედეგები კომპიუტერული თამაშების გამო დგებოდა. სწორედ ამიტომ, რუსმა კანონმდებელმა მეტად სიღრმეულად განმარტა თვითმკვლელობამდე მიყვანის სხვადასხვა ტიპის სპექტრები.

ზემოხსენებულ მსოფლიო პრაქტიკაში, საქართველოც არანაკლებ დაწინაურებულ იქნა. როდესაც საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილი ციფრული/კომპიუტერული თამაში, სახელად „ლურჯი ვეშაპი“ გავრცელდა და როგორც გაირკვა, სწორედ ამ თამაშის შემქმნელი, კარგად ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები, ახდენდნენ სხვადასხვა ტიპის გავლენას მოზარდებზე, რომლებიც საბოლოოდ მიყავდათ თვითმკვლელობამდე.

ჩვენ ვაპელირებთ იმაზე, რომ დანაშაულებრივი ქმედება კერძოდ, სსსკ-ის 115-ე მუხლი, „თვითმკვლელობამდე მიყვანა“ უნდა იყოს მეტად კონკრეტიზირებული და კანონმდებელი არ უნდა განიხილავდეს მსგავსი დანაშაულის ტიპს ასე მშრალად ან/და ზერელედ. ეს კი, „იმისათვის რომ, ქმედებას მიეცეს სწორი შეფასება და დადგინდეს მკვლელის პიროვნება, აუცილებელია ჩატარდეს სრული საგამოძიებო მოქმედება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ირღვევა სისხლის სამართლის მატერიალური და პროცესუალური ნორმების მოთხოვნები. დეტალურად არ არის შესწავლილი მკვლელობის შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური მხარის ყველა ელემენტი. თუ არ გაირკვა საქმის ვითარება, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დანაშაულის არაკორექტულ შეფარდებას.“[30] სასამართლო მედიცინაში მიჩნეულია, რომ ადამიანის სიკვდილი არის მთლიანი ორგანიზმის სიკვდილი.

ამდენად, ეს ბუნებრივი პროცესია, ვინაიდან არსებობს სიცოცხლე და არსებობს ამ სიცოცხლის ლოგიკური დასასრული. ვინაიდან სასჯელის სახე, სიმძიმე თუ სიმსუბუქე, ადექვატური უნდა იყოს დანაშაულებრივი ქმედებისა, კერძოდ, მისი მოტივის, მიზნის, მიზეზის, გაზრახვის, ცოდნის, იარაღის, ხერხის, და სხვა რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მხარეების გათვალისწინების შესაბამისად.

ზემოხსენებული მაგალითი ცხადყოფს, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანა შესაძლოა მოისაზრებდეს დამნაშავისგან ნებისმიერი ტიპის მოქმედებას, რომელიც მსხვერპლის ფსიქიკაზე ცუდად აისახება.

самоубийства/ Организация деятельности, направленной на побуждение к совершению самоубийства. (в ред. Федерального закона от 07.06.2017 N 120-ФЗ) Принят ГосДумой., 1996;

[30] რ. კვარაცხელია „განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია“, თბ., 2008, გვ. 7.

აქვე აღსანიშნავი და გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტიც, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ, დანაშაულებრივი შედეგი შესაძლებელია არა მხოლოდ მსხვერპლის მიერ ჩადენილი თვითგანადგურების მანიფესტაციების არსებობის პირობებში, არამედ განპირობებულია სოციალური საფრთხის მნიშვნელოვანი ხარისხითაც.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვითმკვლელობის მაპროვოცირებელი „პიროვნება ხასიათდება, როგორც - ძალიან სასტიკი, ცინიკური, აგრესიული პიროვნების ტიპი, რომელსაც აქვს სხვათა თანაგრძნობის შეუძლებლობა, რომლის შინაგანი მოთხოვნილებები გახლავთ ადამიანებისთვის მორალური და ფიზიკური ტანჯვის მიყენების საჭიროება და სურვილი, რომლის მიღწევის შედეგად იგი აცნობიერებს თავის თვითკმარობას და უპირატესობას სოციუმში.“[31]

[31] Копылова Г.К., Прозоров А.В., «Психология и педагогика в деятельности сотрудников ОВД. - ПСИХОЛОГИЯ УБИЙЦ», Калининград, 1998.

2.3. დამნაშავის ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური ტიპოლოგია

კონკრეტული საკითხის განხილვამდე, წინასიტყვაობად გამოდგებოდა რუსი მწერლის, თ. დოსტოევსკის ციტატა ნაწარმოებიდან „დანაშაული და სასჯელი“, სადაც იგი წერს: „დანაშაული წარმოადგენს პროტესტს სოციალური წესწყობილების უკუღმართობის წინააღმდეგ.“

დამნაშავის ფსიქოლოგიური ტიპოლოგია, იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება „თვითმკვლელობის ინსცენირებას“ ან/და თვითმკვლელობამდე მიყვანას, მრავალნაირი შესაძლოა აღმოჩნდეს. XX საუკუნის მიწურულს, ფსიქოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, კლინიკური ფსიქიატრიის დარგში მოღვაწე კარლ გუსტავ იუნგმა, თავის ნარკვევებში დაწერა, რომ ადამიანის ფსიქოტიპზე მისი სხეული საუბრობს.

რაც შეეხება დამნაშავის კრიმინოლოგიურ არსს, უპირველესად დავსვათ კითხვა, თუ ვინ არის დამნაშავე? ეს არის პირი, რომლის მიმართაც სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. დამნაშავის ფსიქოლოგიური თუ კრიმინოლოგიური კვლევა მრავალი წელია მიმდინარეობს და ეს უკანასკნელი, დღითიდღე მეტად იხვეწება.

მეცნიერები ამბობენ, რომ „დამნაშავე“ ისეთივე მეთოდოლოგიური საწყისებით უნდა იყოს აგებული, როგორებზეც - ზოგადად, „პიროვნება.“ სწორედ პიროვნების საფუძვლიანმა შესწავლამ, შესაძლოა გაამარტივოს დამნაშავის სხვადასხვა ტიპების გამოყოფა და ამის გათვალისწინებით, შეირჩეს პიროვნების შესწავლისადმი სპეციფიური მიდგომის უზრუნველყოფის მეთოდი. ამ შემთხვევაში დაძაბულობის ატმოსფერული წნევაც დაიწევს. შესაბამისად, მეტი შანსი მოგვეცემა, რომ უფრო კარგად შევიცნოთ კონკრეტული პირი.

„პიროვნების დახასიათება, მთლიანობაში, ყალიბდება ისეთი კომპონტების გათვალისწინებით, როგორიცაა დამნაშავის პიროვნების: 1) სოციალური სტატუსი; 2) როლი/ფუნქცია; 3) ზნეობრივ-ფსიქოლოგიური (სამართლებრივი ცნობიერების ჩათვლით) ნიშნები; 4) ბიოლოგიური (სქესი, ასასკი, ნერვული სისტემის ტიპი და სხვა.) ნიშნები; 5) ემოციურ-ნებელობითი (შერეული ბიოფსიქოლოგიური ბუნების მატარებელი) ნიშნები; 6) სისხლისსამართლებრივი ნიშნები.“[32]

„დამნაშავის პიროვნების შესწავლა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს მკვლელობის კვლევაში. პიროვნული მიდგომა უზრუნველყოფს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც სხვა მეთოდების გამოყენებით ვერ იქნება დადგენილი. აქედან გამომდინარე, დამნაშავის პიროვნების შესწავლა აუცილებელი რგოლია იმ

[32] „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში.“ თბ., 2008, გვ. 99.

მოვლენებისა და პროცესების ჯაჭვში, რომლებიც, ერთობლიობაში, მკვლელობის მთლიან სურათს ხატავენ და მასზე მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან.“[33]

დამნაშავის პიროვნება წარმოადგენს დანაშაულის სუბიექტს, დამნაშავის პიროვნება კი, საზოგადოებრივი ურთიერთობის პროდუქტია.[34] რაც შეეხება დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიურ დახასიათებასა და დამნაშავის ტიპოლოგიას, „დამნაშავის პიროვნების დემოგრაფიულ ნიშნებს მათი განსხვავებული ბუნების გათვალისწინებით (ბიოგენური, ფსიქოგენური, სოციოგენური), გარკვეული მიშვნელობა ენიჭებათ დამნაშავის პიროვნების დახასიათების დროს. ამ ნიშნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულებრივ ქცევაზე ისინი პირდაპირ ზეგავლენას არ ახდენენ და გამოხატულებას ისინი ჰპოვებენ სიცოალურ-ფსიქოლოგიური ნიშნებით“.[35] ამის მიუხედავად, დამნაშავის პიროვნების დახასიათების დროს ზემოხსენებული ნიშნების განხილვა გათვალისწინებას მოითხოვს.

შემდეგი მახასიათებლებია სქესი, ასაკი, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ნიშნები, სოციოლოგიური სტატუსი, მისი ემოციურობა და სხვა.[36]

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლები და თავისებურებები, ყველაზე კარგად, ზუსტად მის მიერ განხორციელებულ ქცევით აქტივობაში გამოიხატება. დელიქვანტური ქცევა ეწოდება პიროვნების მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში მიღებულ კანონებს.[37]

თავისი არსით, დანაშაული წარმოადგენს ქცევის სპეციფიკურ ფორმას, რომელიც ჩვეულებრივი ქცევისაგან განსხვავდება მისი შინაარსობრივი დატვირთვით და საზოგადოების მხრიდან მისი შეფასებით. არსებობს კრიმინალური ქცევის რამდენიმე ფსიქოტიპი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დამნაშავეთა ფსიქოლოგიური აღწერა.

არსებული ტიპოლოგია აგებულია კონტინიუმზე. ერთ უკიდურეს მხარეს განიხილება დამნაშავეთა ის ტიპები, რომელთათვისაც დანაშაული, როგორც ასეთი, წარმოადგენს თვითმიზანს, მეორე მხარეს კი განიხილება დამნაშავეთა ის ტიპები, რომლებიც დანაშაულს სოციალური ზეგავლენიდან გამომდინარე ჩადიან და მათი უშუალო მიკუთვნება დანაშაულებრივ ქმედებასთან განპირობებულია კონფორმულობის მაღალი დონით.[38]

---

[33] „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში“, თბ., 2008, გვ. 97;
[34] იქვე, გვ. 101;
[35] იქვე, გვ. 104;
[36] Копылова Г.К., Прозоров А.В., «Психология и педагогика в деятельности сотрудников ОВД. - ПСИХОЛОГИЯ УБИЙЦ», Калининград, 1998;
[37]„Научно-исследовательский институт проблем криминологии, криминалистики и судебной экспертизы.“ «Использование естественнонаучных знаний при расследовании насильственных преступлений», Минск, 2003;
[38] Кикнадзе Д.А., Система факторов действия и развития личности, Тбилиси, 1982, С. 121, 146.

დამნაშავის ფსიქოლოგიურ ტიპოლოგიაში გვხვდება რამდენიმე შემთხვევა. პირველი ფსიქოლოგიური ტიპი ხასიათდება ანტისოციალური ქცევისადმი მზაობითა თუ მიდრეკილებით. ამ შემთხვევაში მიზანია არა მხოლოდ ქმედების სისრულეში მოყვანა, არამედ თავად „საქმიანობის“ პროცესი. ფსიქოლოგოები ფიქრობენ, რომ ასეთი ტიპის კრიმინალი ახლოსაა ფსიქიკურ აშლილობასთან. დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების მოთხოვნილება აქტუალიზირდება დამოუკიდებლად, გარემო პირობების ზემოქმედების გარეშე. ასეთი ტიპის ადამიანისთვის ყოველგვარი სიამოვნება დაკავშირებულია კრიმინალურ ქმედებასთან.[39]

დამნაშავის მეორე ფსიქოტიპი არ ეწინააღმდეგება დევიანტურ ქცევას ანუ ის თავიდანვე მისაღებად მიიჩნევს კრიმინალურ საქმიანობას. ამგვარი ქმედებით კი იკმაყოფილებს ზოგიერთ მოთხოვნილებას და ანტისოციალური ქცევის განხორციელება პრობლემის გადასაწყვეტ კანონიერ ქცევაზე უფრო ეფექტურ გზად მიაჩნია.[40] დამნაშავე სოციალურად მისაღებად თვლის, საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მოძებნოს ობიექტი ან სიტუაცია, რომელსაც გამოიყენებს დევიანტური ქმედების განსახორციელებლად.

რაც შეეხება მესამე ფსიქოტიპის პიროვნების დანაშაულებრივ ქმედებას, მას თან ახლავს შინაგანი წინააღმდეგობა. ინდივიდი ფიქრობს, რომ არ არსებობს პრობლემის გადაწყვეტის კანონიერი გზა. ამასთანავე, განიცდის საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობას, მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებად კი ანტისოციალურ ქმედებას ხედავს. ამ ტიპის ადამიანები არიან პოტენციური კრიმინალები, რომელთაც იციან, რომ მათი ქცევა არის რისკის შემცველი და მიუღებელი.

ამის გამო განიცდიან წინააღმდეგობას საკუთარ თავთან და ჩადიან დანაშაულებრივ ქმედებას მხოლოდ მაშინ, როდესაც სიტუაცია გამოუვალია.[41] შემდეგი პიროვნების, დამნაშავის ფსიქოტიპის ქონა ხასიათდება ქცევის ისეთი იმპულსურობით, რომ შესაძლოა ეწოდოს გონივრულ ზღვარს გადაცილებული. ასევე, შესაძლოა ქცევა დემონსტრირებული იყოს აფექტური მდგომარეობებით, რომლებიც ზოგიერთ სიტუაციაზე რეაქციის გამოსახატად ჩნდება.

რეაქცია ძირითადად ვლინდება ფიზიკურ ძალადობაში, შეურაცხყოფასა და მატერიალური ზიანის მიყენებაში. ამ ტიპის ადამიანის ქცევა შესაძლოა გამოიხატოს როგორც ჩვეულებრივი ფიზიკური მდგომარეობის, აგრეთვე მომატებული ნერვული მდგომარეობის,

---

[39] М.И. Еникеев, „Юридическая психология.“

[40] Артемов А.Ю. „Психологическая сущность преступного поведения.“

[41] Копылова Г.К., Прозоров А.В., «Психология и педагогика в деятельности сотрудников ОВД.- ПСИХОЛОГИЯ УБИЙЦ», Калининград, 1998.

ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალებების ფონზე. ასეთი ტიპის დანაშაულებრივი ქმედება შესაძლოა გამოწვეული იყოს სტერეოტიპების არსებობითაც.[42]

ასევე აღსანიშნავია ისეთი ტიპის დამნაშავეთა კატეგორია, რომელთა დევიანტურ ქმედებას განაპირობებს კონფორმულობა (ჯგუფთან მიკუთვნებულობის გრძნობა).

გარკვეული ჯგუფის ან/და დაჯგუფების წევრობის სურვილი, წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა და არამყარი ანტიკრიმინალური ღირებულებები განაპირობებს იმას, რომ დამნაშავე ვერ ეწინააღმდეგება არაკანონიერი ქმედების განხორციელების მოთხოვნას.

ამ ტიპის დამნაშავის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ბავშვობაში მშობელთა მხრიდან განხორციელებული ძალადობა და დასჯა მათი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო,[43] აგრეთვე პიროვნების შინაგანი მორჩილება სოციალური ნორმების მიმართ და შიში იმისა, რომ თუ მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნას არ შეასრულებს, დაისჯება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტული მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში დამნაშავის, როგორც პიროვნების ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური ტიპოლოგიის შესწავლა დაგვეხმარება იმაში რომ, წარმატებულად გამოძიებული ტენდენციების მქონედ ვაქციოთ ერთი შეხედვით რთულად გამოსაძიებელი საქმე.

---

[42] Прокуратура РСФСР, следственное управление «Об опыте расследования умышленных убийств и изнасилований», М., 1968;

[43] ნ. გაბრიჩიძე, „საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობების გამოძიების მეთოდიკა“, თბ., 2005.

თავი III. ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ჩასატარებელი სამედიცინო-კრიმინალისტიკური და ცალკეული საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებები

ჯერ კოდევ უძველესი ცივილიზაციის ქვეყნების ძეგლებსა თუ წერილობით წყაროებში გადმოცემულია მონაცემები სხეულის დაზიანების თუ სიკვდილის შემთხვევაში გარკვეული ტიპის სპეციფიკური საკითხის დასადგენად, რომ შესაბამისი პირები საჭიროებდნენ მედიცინის გამოყენებას.

„სასამართლო მედიცინის ისტორიაში მნიშვნელოვანია 1247 წელს, ჩინეთში გამოცემული ნაშრომი „სი-ჯუან-ლუ“, რომლის ავტორია სუნ-ცი. ნაშრომში განხილულია სასამართლო სამედიცინო გამოკვლევის ზოგადი საკითხები, განსაკუთრებით დეტალურად არის განხილული დაზიანების და დაზიანების სიმულაციის, მუცლის მოწყვეტის, დაზიანების გამომწვევი იარაღების, სიცოცხლისდროინდელი და სიკვდილისშემდგომი დაზიანებების დიფერენციაციის, მოხრჩობისა და სითხეებში დახრჩობის, შხამებით მოწამვლის საკითხები.“[44]

აქედან ჩანს, რომ ფაქტობრივად მე-12-ე საუკუნიდან აღმოსავლური კულტურა ფართოდ იყენებდა სასამართლო სამედიცინო ინსტიტუციას.

თუ გავიხსენებთ რომის სამართალს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა იუსტინიანეს კოდექსმა (ჩვენს წელთ აღრიცხვამდე VI-ე საუკუნეში), აქაც მკაფიოდ გამოიხატება ექიმების როლი ზემოაღნიშნული საკითხების გამოკვლევასა თუ შეფასებაში.

შუა საუკუნეების ევროპაში, მაშინ, როდესაც მძვინვარებდა ადამიანების ინკვიზიციური წესით გასამართლება, გერმანიის ბანბერგის საეპისკოპოში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაკანონებულიყო სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ექიმის კონსულტაციის აუცილებლობა სხეულის დასახიჩრებასა თუ მკვლელობის შემთხვევაში. ეს წყარო ცნობილია, როგორც „ბამბერგის სამართალწარმოების კოდექსი“ (თარიღდება 1507 წლით).

მას შემდეგ, მრავალი ისტორიული ფიგურანტის დამსახურებით, სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტმა ფესვი გაიდგა და ჩვენამდე მოაღწია.

---

[44] ბ. კილასონია, „სასამართლო მედიცინა”, სასამართლო მედიცინის საგანი და საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძველი, თბ., 2011, გვ. 9.

საქართველოში დანერგილი სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკის ინსტიტუტი, დიდი ხნის მაანძილზე, „რუსული სამართლის“ სკოლის ზეგავლენის ქვეშ გახლდათ, გარკვეული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე.

როგორც ცნობილია, საქართველოში 1864 წელს განხორციელებულ სასამართლო რეფორმამდე, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ გახლდათ იმდენად სერიოზული ხასიათის მქონე, რაც მას მერე, როდესაც რეფორმის შედეგად მას ფუნდამენტად, მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა.

საქართველოს გასაბჭოების დასაწყისში „სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა შევიდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში სასამართლო სამედიცინო განყოფილების სახით.“[45]

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტმა მიიღო ბიუროკრატიული სახე, კერძოდ, 1952 წელს, სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად, „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შექმნა მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიურო.

ბუუროსთან ერთად კი მოხდა, სამი განყოფილების ჩამოყალიბება: 1. მორგი - გვამების გამოკვლევისათვის; 2. ამბულატორია - ცოცხალ პირთა შესამოწმებლად, და 3. ლაბორატორია - ნივთმტკიცებათა გამოსაკვლევად.“[46]

„სასამართლო მედიცინა არის, სამედიცინო მეცნიერების ნაწილი, რომელიც, შეისწავლის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვისას წამოჭრილ სამედიცინო და ბიოლოგიურ საკითხებს.“[47]

გადავხედოთ კანონს „სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესების შესახებ.“ პირველივე მუხლი განმარტავს სასამართლო სამედიცინო ქსპერტიზის მომცველ საკითხებს.

კერძოდ, „სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა“ მოიცავს: ა) გვამების ექსპერტიზას ნაძალადევი სიკვდილის შემთხვევებში; ბ) გვამის ექსპერტიზას ძალადობაზე ეჭვის ან სხვა გარემოებების არსებობისას, რომლებიც განაპირობებენ სასამართლო სამედიცინო წესით გამოკვლევის აუცილებლობას; გ) დაზარალებულის, ბრალდებულის ან სხვა პირთა ექსპერტიზებს, ასევე მოქალაქეთა სასამართლო სამედიცინო შემოწმებას, სხეულის დაზიანების ხასიათს და სიმძიმეს, ასაკს, სქესობრივ მდგომარეობას და სხვა საკითხებს; დ)

---

[45] ბ. კილასონია „სასამართლო მედიცინა“ სასამართლო მედიცინის საგანი და საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძველი; გვ.11. 2011;
[46] იქვე, გვ. 12;
[47] იქვე, გვ. 15;

ექსპერტიზას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის მასალებთან დაკავშირებით. ე) ექსპერტიზას სამედიცინო დოკუმენტაციით.“[48] რაც შეეხება, სასამართლო სამედიცინო ექსპერტს, როგორც სასამართლო მედიცინის სპეციალისტს, სამართალდამცავი ორგანოები იწვევენ საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, მისი კომპეტენციაა „გვამის დათვალიერება შემთხვევის ადგილზე, ექსჰუმაცია, ნიმუშის აღება გამოკვლევისათვის, საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობა და სხვა.“[49]

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სახეები, კანონის თანახმად 6 სახისაა. ესენია: „ა) პირველადი; ბ) დამატებითი; გ) განმეორებითი; დ) საკომისიო; ე) კომპლექსური; ვ) ალტერნატიული.“[50]

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ობიექტებია: გვამი, ცოცხალი პირი, ნივთმტკიცების გამოკვლევისა და სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ამა თუ იმ მასალის მიხედვით ჩატარებული ექსპერტიზის შემთხვევებთან კავშირში არსებული საგამოძიებო მასალები.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპერტის გამოძახება შესაძლოა სავალდებულო გახდეს სიკვდილის მიზეზის დასადგენად. გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა წარმოებს შესაბამისი საპროცესო აქტის საფუძველზე, რომელშიც დასმული უნდა იქნეს ყველა ის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საჭიროა.

რა არის სიკვდილი? აქვს თუ არა მას სასამართლო-სამედიცინო კუთხით ახსნა?

დიახ! არსებობს მეცნიერება სახელად „თანატოლოგია“ – ანუ „მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ორგანიზმში მიმდინარე სიკვდილისწინა და სიკვდილისშემდგომ პროცესებს, აგრეთვე სიკვდილის ნიშნებს“[51], ესე იგი, მოძღვრება სიკვდილზე, რომელიც შეისწავლის მასთან დაკავშირებულ მთელ მოვლენათა ჯაჭვს.

არსებობს ორი სახის თანტოლოგია. ეს არის: 1. ზოგადი თანატოლოგია; 2. კერძო თანატოლოგია.

ზოგადი თანატოლოგია შეისწავლის, სიკვდილის არსს და მასთან დაკავშირებულ მთელ რიგ მოვლენებს. კერძოდ, „სიკვდილის პირველად ნიშნებს, ნაადრევ და მოგვიანებით გვამურ მოვლენებს, სიკვდილის კლასიფიკაციას და სხვა.“[52]

---

[48] სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესების შესახებ. მუხ. 1.

[49] სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესების შესახებ. მუხლი 2.

[50] სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესების შესახებ. მუხლი 3.

[51] უცხო სიტყვათა ლექსიკონი

[52] ვ.ს. შანიძე „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (გვამის ექსპერტიზა)“ თბ., 1956, გვ. 3;

მეორე სახის ანუ კერძო თანატოლოგია კი შეისწავლის სიკვდილის ცალკეულ სახეებს. კერძოდ, „სიკვდილს გამოწვეულს მექანიკური ტრამვით, მექანიკური ასფიქსიით, მოწამვლით, უკიდურესი ტემპერატურით, სხივური ენერგიით და სხვა.“[53]

რაც შეეხება განსხვავებას ორგანიზმის „კვდომასა“ და „სიკვდილს“ შორის.
ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებაა. „სიკვდილი“ - ეს არის, ბიოლოგიური ორგანიზმის სიცოცხლის პერმამენტული, ანუ, სამუდამო დასასრული. კერძოდ, „ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლისა და ფუნქციების შეუქცევადი შეწყვეტა.“[54]

პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ არსებობს ასევე „უეცარი სიკვდილის“ სახელით ცნობილი მოვლენა. ეს არის ისეთი შემთხვევები, როდესაც კონკრეტული პირი კვდება მოულოდნელად, რომელიმე ქრონიკული ან მწვავე დაავადების ფონზე. „უეცარი სიკვდილი საკმაოდ ხშირია. ავტორთა უმრავლესობა აღნიშნავს რომ, უეცარი სიკვდილი მთელი სასამართლო-სამედიცინო მასალის 30 – 50%-ს შეადგენს“[55], ხოლო რაც შეეხება „კვდომას“ - ეს არის სიცოცხლიდან სიკვდილში გადასვლის პროცესი, სადაც შესაძლოა გამოვყოთ შემდეგი ეტაპები: „პრეაგონიური მდგომარეობა, აგონია, ტერმინალური პაუზა, კლინიკური ან/და ბიოლოგიური სიკვდილი.“[56]

სასამართლო-სამედიცინო წესით, როგორც ცნობილია, გაკვეთილ უნდა იქნეს გვამები: 1. ნებისმიერი ტიპის მკვლელობისას; 2. ყველა თვითმკვლელობის შემთხვევაში; 3. ნებისმიერი უბედური შემთხვევის დროს; 4. უეცარი სიკვდილის შემთხვევაში; 5. არაშესაფერის ადგილზე ნაპოვნი ახალშობილის; 6. მოწამვლის მხრივ, საეჭვო შემთხვევებში; 7. უდიაგნოზოდ (ბინაში ან საავადმყოფოში) მყოფი მომკვდარის; 8. საავადმყოფოში მიყვანიდან 24 საათში გარდაცვლილის; 9. კრემაციის წინ; 10. საავადმყოფოში მკვდრად მიყვანის შემთხვევაში; და 11. არაწესიერი მკურნალობის მხრივ საეჭვო ვითარებაში დაღუპულის არსებობის შემთხვევაში.

„მკვლელობის, თვითმკვლელობის და უბედური შემთხვევის შემდეგ, გვამები უსათაუროდ სასამართლო-სამედიცინო წესით იკვეთება, რადგან ყველა ამ სახის სიკვდილი ნაძალადევია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სავალდებულოა სრული სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა სამი ძირითადი ღრუს გაკვეთით.“[57] გასათვალისწინებელია გვამის პათოლოგანატომიური კვეთის საკითხი, რომელიც

---

[53] ვ.ს. შანიძე „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (გვამის ექსპერტიზა)“ თბ., 1956. გვ.4.
[54]„Научно-исследовательский институт проблем криминологии, криминалистики и судебной экспертизы.“ «Использование естественнонаучных знаний при расследовании насильственных преступлений», Минск, 2003;
[55] რ. გვეტაძე „უეცარი სიკვდილის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საკითხისათვის” თბ., 1964;
[56] Шардин С.Ф., Гирько С.И., Николаев С.В., Верхолина Е.В., Николаев В.Н., Николаева Г.С., «Судебная Медицина (общая и особенная части)», М., 2006;
[57] ვ.ს. შანიძე „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (გვამის ექსპერტიზა)“ თბ., 1956, გვ. 5.

მიზნობრივად, რადიკალურად განსხვავდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გამოკვლევისგან.

„პათოლოგანატომიური გაკვეთილის მიზანია დაადგინოს კლინიკური დიაგნოზის სისწორე. იგი წარმოებს მხოლოდ მეცნიერული მიზნით, მაშინ, როდესაც გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა ემსახურება ნაძალადევი სიკვდილის დადგენას ან უარყოფას.“[58]

აღსანიშნავია რომ, გვამის პათოლოგანატომიური და სასამართლო-სამედიცინო გაკვეთა, პირველ რიგში, განსხვავდება ერთმანეთისგან იურიდიული თვალსაზრისით.

პათოლოგანატომიური გაკვეთის წარმოება სამკურნალო დაწესებულებაში მიღებული წესის საფუძველზე ხორციელდება, ხოლო მეორე - შესაბამისი საგამოძიებო ორგანოების ოფიციალური მოთხოვნილების საფუძველზე.

პათოლოგანატომის პროფესიული მოღვაწეობა გვამის გაკვეთით იწყება და შემდგომში კლინიცისტებთან შემთხვევის გარჩევით მთავრდება, რასაც ვერ ვიტყოდით სასამართლო ექიმ-ექსპერტის მოღვაწეობაზე.

აღსანიშნავია კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი. პათოლოგანატომს გვამის გამოკვლევისას აქვს კონკრეტული პიროვნების ავადმყოფობის ისტორია და სხვადასხვა დამატებითი სამედიცინო გამოკვლევები. ექსპერტს კი ასეთი ცნობები არ გააჩნია. მეტიც, ხშირად გვამს ყოველგვარი წინასწარი ცნობების გარეშეც კი კვეთავს. „ამასთან, არც ისე იშვიათად, სასამართლო ექიმმა-ექსპერტმა არ იცის გამოსაკვლევი ობიექტის პიროვნების ვინაობა.“[59]

პათოლოგანატომიური გაკვეთის დროს, ყურადღება იმდენად არ ექცევა გვამის გარეგან დათვალიერებას, განსხვავებით სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევისგან. გარდა ამისა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს სავსებით შესაძლებელია, რომ დასჭირდეს პიროვნების იდენტიფიცირებისათვის „სახის აღდგენა“ (გვამის რესტავრაცია).

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გვამის პათოლოგანატომიური გაკვეთა საჭიროა ადამიანის სიკვდილის შემდეგ, რაც შეიძლება სწრაფად, ხოლო რაც შეეხება სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევას, მისი დრო განუსაზღვრელია, რადგან შესაძლოა, წლებიც კი გრძელდებოდეს.

---

[58] ვ.ს. შანიძე „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (გვამის ექსპერტიზა)“ თბ., 1956, გვ. 7;
[59] იქვე, გვ. 8.

3.1. შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერება

შემთხვევის ადგილისა და გვამის (არსებობის შემთხვევაში) დათვალიერება პირველადი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა. მსგავსი სამძებრო-საგამოძიებო მოქმედება ტარდება იქ, სადაც ან მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილი იქნა მისი კვალი. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ხდება სხვადასხვა კვალთა ამოღების და კვლევის მიზნით. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, როგორც წესი, მონაწილეობას იღებენ ექპერტ-კრიმინალისტები და ფოტოგრაფი.

რაც შეეხება რადიუსის განსაზღვრას, ის ხდება შემდეგნაირად: „შემთხვევის ადგილის ცენტრიდან, რომლადაც ითვლება გვამი, იზომება მანძილი ყველაზე შორს მდებარე ნივთმკტიცებამდე და მას ემატება ამ მანძილის ნახევარი“[60] ანუ პირობითად, თუ გვამი აღმოჩენილი იქნა საცხოვრებელ ბინაში, შემთხვევის ადგილად მთლიანი ბინა იქნება აღქმული. ცნობილია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება ორ ნაწილად იყოფა: 1. სტატიკურად და 2. დინამიკურად.

სტატიკური დათვალიერება მკვლელობის ადგილის დათვალიერებას გულისხმობს, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, რასაც წინ უსწრებს გამომძიებლის ხანმოკლე ადაპტაცია, კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში. „შემთხვევის ადგილის დიმანიკური დათვალიერება გულისხმობს მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებულ კვალთა, ნივთმტკიცებათა დაწვრილებით დათვალიერებას.“[61]

არსებობს შემთხვევის ადგილზე გადაადგილების მარშრუტების სახეები, რომლებსაც გამომძიებელი გარემოების შესაბამისად ინდივიდუალურად ირჩევს. ესენია: კვადრატული, სპირალური, ფრონტალური და ურთიერთგადამკვეთი. დათვალიერების მეთოდი არჩეულია ხოლმე იმის მიხედვით, თუ რომელი იქნება ის ოპტიმალური ვარიანტი, რომლის მეშვეობითაც გამოირიცხება საფრთხე კვალზე, ან კვალთა მიმანიშნებელი მტკიცებულებათა დაზიანება.

როგორც აღვნიშნეთ, „შემთხვევის ადგილის დათვალიერება იწყება გვამიდან. გვამის დათვალიერებისას, აუცილებელია რომ დადგინდეს და შესაბამის ოქმში შეტანილი იქნეს შემდეგი საკითხები: რა პოზაში იმყოფებოდა გვამი, გვამზე ან მის ირგვლივ, მის ქვეშ რა არსებული კვლები იქნა აღმოჩენილი, ზედაპირის მდგომარეობა, კიდურების მდებარეობა, გვამზე ტანსაცმლის მდგომარეობა, შესაკრავების ნებისმიერი ტიპის მდგომარეობა და

[60] თ. კენკებაშვილი, „მკვლელობათა გამოძიების მენეჯმენტი”, თბ., 2017, გვ. 6;
[61] იქვე, გვ. 7;

მთლიანობა, არის თუ არა ტანსაცმელი მორგებული და ა.შ.“[62] „შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზნებია: 1. შემთხვევის ადგილზე შესაძლო მატერიალურ მტკიცებულებათა პოვნა, ამოღება, ფიქსაცია; 2. მდგომარეობის შესწავლა, დანაშაულის გონებრივი რეკონსტრუქცია და სამომავლოდ საგამოძიებო მექანიზმის დასახვა. 3. შემთხვევის ადგილის, იქ არსებული გარემოსა და ობიექტთა აღნიშვნა/დაფიქსირება; 4. დანაშაულში მონაწილე პირთა რაოდენობის და მათი ინდივიდუალურად მადიფერენცირებელი ნიშნების დადგენა შემდგომი ძიებისთვის; 5. დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური მხარის. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მეთოდი, დრო, დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედება შემთხვევის ადგილზე, მიზეზ-შედეგობრიობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, და სხვა; 6. დანაშაულის მოტივისა და მიზნების იდენტიფიცირება და დიფერენცირება.“[63]

ცნობილია რომ, საგამოძიებო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევის ადგილის დათვალიერების სამ-საფეხუროვანი მეთოდიკა. ესენია: 1. მოსამზადებელი; 2. სამუშაო და 3. დასკვნითი ეტაპი. თავისთავად ცხადია რომ, თითოეულს აქვს სპეციალურ-უნივერსალური დატვირთვა და ამ სისტემის გამოყენებისას აუცილებელია „საფეხურების“ თანმიმდევრობის დაცვა. „მოსამზადებელ ეტაპზე გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს: რა მოხდა; სად, როდის, როგორ, ვინ აღმოაჩინა ჩადენილი დანაშაული; ვინ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე. ამის შემდეგუნდა მოხდეს, შემთხვევის ადგილის შემოფარგვლა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.ეს ეტაპი მოიცავს ყველა იმ პიროვნების დადგენას, ვისაც კონკრეტულ საკითხთან რაიმეს სახის შემხებლობა აქვს, უნდა გაიცეს შესაბამისი დავალებები და დაინიშნოს ექპერტიზა.“[64] სტატიკური ეტაპი აბსოლუტურად მომცველია სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებებისა. ეს არის ეტაპი, სადაც აქტიურად ხდება ნივთმტკიცებების შეგროვება.

რაც შეეხება შემთხვევის ადგილის დათვალიერების მესამე ანუ დასკვნით ეტაპს, ის შემაჯამებელია. შესაბამისად ხდება ყოველივე მოპოვებულისთვის შესაბამისი ოქმისა თუ ნახაზის შედგენა და ა.შ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება უნდა იყოს გაფორმებული შესაბამისი ოქმით, სადაც ჩაიწერება შესაბამისი ინფორმაცია.

---

[62] Прокуратура РСФСР - следственное управление «Об опыте расследования умышленных убийств и изнасилований», М., 1968;

[63] Прокуратура РСФСР - следственное управление «Об опыте расследования умышленных убийств и изнасилований», М., 1968;

[64] Научно-исследовательский институт проблем криминологии, криминалистики и судебной экспертизы.“ «Использование естественнонаучных знаний при расследовании насильственных преступлений», Минск, 2003.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გამოძიებისთვის ერთ-ერთი ნაკლებად განვითარებული საქართველოსთვის, თუმცა ძალზედ საინტერესო მეცნიერება, ორთოდოლოგია - ანუ, რაც კი ბუნებაში არსებობს ყველაფერი. მცენარე, თუ ცხოველი, ქიმიური ელემენტი, თუ ადამიანი, ხასიათდება ჰაერში გამოფრქვეული მდგრადი და არამდგრადი ხანგრძლივობის აქროლადი ნივთიერებების გარკვეული თავისებურებებით, რომელსაც შეიგრძნობენ ადამიანები და ცხოველები - ეს არის სუნი ანუ ოდორანტი."[65]

მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ადამიანის არომატი გარკვეული ზემოქმედების შედეგად გადადის ყველა საგანზე - რასაც კი შეეხება. ადამიანის სუნის გამოკვლევი შედეგად, დადგინდა რომ, სხვადასხვა ადამიანის სუნის ერთმანეთში შერევა და რაიმე ახალი სურნელის წარმოქმნა აბსურდია.[66]

მეცნიერების მიერ ასევე შესაძლებელი გახდა აღმოეჩინათ „სუნი," რომელიც რჩება შემთხვევის ადგილზე, რადგან მას გააჩნდა აბსორბირების უნარი ანუ დახურულ სივრცეში იგი დიდი ხნის მანძილზე რჩება. შესაძლებელი გახდა სუნის ამოღება და გარკვეულ პირობებში შენახვა.[67] ამ ყოველივედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიმინალისტიკაში შემოდის პიროვნების იდენტიფიკაციის ახალი მეთოდი, რომელსაც ოდოროლოგია ეწოდა.[68]

ამრიგად, ოდოროლოგია წარმოადგენს „პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით „სუნის" აღმოჩენის, ამოღების, ფიქსაციის, შენახვისა და შედარების მეცნიერულად შემუშავებული მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების სისტემას."[69]

გადავინაცვლოთ გვამის დათვალიერების საკითხზე. გვამის სრული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის კუთხით გამოკვლევა გულისხმობს მის დათვალიერებას დანაშაულის შემთხვევის ადგილზე. უპირველესად მის გარეგან დათვალიერებას შევეხებით.

გარეგანი დათვალიერება შეიცავს გამოკვლევას და ზოგად აღწერას გვამის და მის ცალკეულ ნაწილების გარეგან ნიშნებს. თუ გვამი ჩაცმულია, დაწვრილებით უნდა იქნეს აღწერილი/აღბეჭდილი მისი ტანისამოსი, არის თუ არა მასზე გარეშე ნივთიერებანი. აქვს თუ არა ტანსაცმელს დამწვარი ადგილები ან აღენიშნება თუ არა სხვა ტიპის დაზიანებები. გვამის

---

[65] რ. კვარაცხელია, „განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია" სასამართლო ოდოროლოგია. თბ., 2008, გვ. 48;

[66] გ. დეკანოზიშვილი, „ოდოროლოგია." სახელმძღვანელო იურისტებისათვის. სასამართლო ექპერტიზის, ექსპერტი მოწმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბ., 2012;

[67] Шардин С.Ф., Гирько С.И., Николаев С.В., Верхолина Е.В., Николаев В.Н., Николаева Г.С., «Судебная Медицина (общая и особенная части)», М., 2006;

[68] გ. დეკანოზიშვილი, „ოდოროლოგია", სახელმძღვანელო იურისტებისათვის., თბ. 2012;

[69] რ. კვარაცხელია, „განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია", გვ. 51.

დათვალიერებისას ყურადღება უნდა მიექცეს სქესს, ასაკს, წონას, სიმაღლეს, სხეულის აგებულებას და კვების ხარისხს.

გათვალისწინებული უნდა იყოს კანის თავისებურებანი, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ. თავის დათვალიერებისას უნდა აღინიშნოს, როგორი თმა აქვს, რა ფერის პიგმენტია და ა.შ. კისრის დათვალიერებისას ყურედღებას აქცევენ მის სიგრძეს და სხვადასხვა ტიპის სტრუქტურულ მონაცემებს. გულმკერდის დათვალიერებისას აღინიშნება, როგორი ფორმისაა, შემომრგვალებულია თუ არა, საკმარისად სწორია თუ არა. მუცლის დათვალიერებისას ყურადღება ექცევა მის მოცულობას და კანის საფარის შებერილობის ხარისხს. „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ადგილებს, სადაც დაზიანებები შეიძლება იყოს დამალული, როგორც: ტანის ბუნრვრივი სანათურები, კეფა, იღლიის ფოსოები, ქალებს კი მკერდის უკანა ადგილები უნდა შეუმოწმდეს.“[70]

შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულმა ექიმმა-ექსპერტებმა უპირველესად უნდა დაადგინონ სიკვდილის ფაქტი, რაც ყოველთვის ადვილი არ არის.

მძიმე ტრამვული ან ანემიური შოკის, მოწამვლის და სხვა შემთხვევებში დაზარალებულს როცა ცნობიერება დაკარგული აქვს, რეფლექსები მოსპობილია და საერთო სასიცოცხლო ფუნქციები იმდენად დაქვეითებულია, რომ მისი შემჩნევა სპეციალური სინჯების ჩატარების გარეშე, ფაქტიურად შეუძლებელია. სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკაში არსებობს სიკვდილის დადგენის „მარტივი ხერხი“, თუ ადამიანი ცოცხალია, თითზე ძაფის შემოჭერის შემდეგ თითი ჯერ გაუწითლდება, ხოლო შემდეგ ციანოზურ (მოლურჯო) ფერს მიიღებს. მსგავსი ფერთა ცვლილება გარდაცვლილზე გამორიცხულია.

ფილტვების ფუნქციის შეწყვეტის დასადგენად თვალით აკვირდებიან გულმკერდის მოძრაობას, მაგრამ შესუსტებული სუნთქვის პირობებში ასეთის შემჩნევა შეუძლებეია. ასეთ შემთვევაში ექსპერტ-კრიმინალისტები ისმენენ სუნქთვას სტეტოსკოპით, ფონეიდოსკოპით ან უშუალოდ ყურით.[71]

სიკვდილის ფაქტის დასადგენად მნიშვნელოვანია ე.წ. „კატის თვალის“ ფენომენი. ამ სინჯის ჩასატარებლად თითებით აწვებიან თვალის კაკალს ორი მოპირდაპირე მიმართულებით. თუ თვალის გუგა მიიღებს მოგრძო ფორმას, ესე იგი ადამიანი მკვდარია, რადგან ცოცხალი ადამიანის თვალის გუგის ფორმის შეცვლა არ შეიძლება. მსგავსს ფენომენალურ გამოვლინებას ვღებულობთ სიკვდილიდან 10-15 წუთის გასვლის შემდეგ.[72]

---

[70] სამოსამართლეო-საექიმო გვამების გამოკვლევის წესები, ს.ს.ს.რ. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი. გვ.5. ტფილისი, 1925;

[71] ვ. შანიძე „ახალშობილთა გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა”, თბ., 1965, გვ. 74;

[72] Шардин С.Ф., Гирько С.И., Николаев С.В., Верхолина Е.В., Николаев В.Н., Николаева Г.С., «Судебная Медицина (общая и особенная части)», М., 2006.

აღსანიშნავია, რომ შემთხვევის ადგილზე გვამის მდებარეობას (პოზას) უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია საქმის შემდგომი გამოძიებისათვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რაიმე ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით გვამს უცვლიან ხოლმე მდებარეობას ან გარემოებას მრავალჯერადად უნდა მიექცეს ყურადღება.

მაგალითად, „თუ გვამი შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ იქნა პირდაღმა მდგომარეობაში, ხოლო გვამური ლაქები განვითარებულია ზურგის, თავის, კისრის და კიდურების უკანა ზედაპირზე, ესე იგი გვამის თავდაპირველი მდებარეობა (პოზა) შეუცვლიათ.[73]

გვამის დათვალიერება შედგება ორი ნაწილისგან: ა) გამოკვლევის მომზადება; ბ) გამოკვლევა.

მომზადება შედგება: 1) საჭირო იარაღების და ხელსაწყოების მომზადება; 2) გამოკვლევისთვის მოხერხებული ადგილის გამონახვა; 3) ცნებების შეკრება, რომელიც მოგვცემს საშუალებას, დაწვრილებით განხილვისა გამოსაკვლევი შემთხვევის შესახებ.“[74]

რაც შეეხენა, გვამის გამოკვლევას, იგი იყოფა ორ ნაწილად: ა) გარეგანი დათვალიერება; ბ) შინაგანი დათვალიერება, კერძოდ, გვამის გაკვეთა.

ასევე, აღსანიშნავია მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ გარემო.

რა გარემოში იქნა აღმოჩენილი ცხედარი? სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პრაქტიკის მიერ დადგენილი მდგომარეობების მიხედვით, გვამი შესაძლოა იყოს ნაპოვნი: 1. ჰაერზე; 2. წყალში; 3. მიწაზე; 4. ვაკუმში; 5. მიწაში. გასათვალისწინებელია რომელიმე სტიქიასთან შემხებლობის შემთხვევაში კონკრეტულის აგრეგატული თუ ფიზიკური მდგომარეობა ტემპერატურის მიხედვით, რა ამინდში იქნა ნაპოვნი გვამი და წელიწადის რომელ დროს, რა პირობებში.

ეს არის ყურადღების ჯეროვნად მისაქცევი საკვანძო საკითხები გვამთან დაკავშირებით, რომლებიც ერთ დილემას ჩამოანგრევს და „რთულ“ პირობებში, გამოძიება მაინც იქნება ეფექტური. ყოველივე ამას მოგვიანებით განვიხილავთ.

---

[73]„Научно-исследовательский институт проблем криминологии, криминалистики и судебной экспертизы.“ «Использование естественнонаучных знаний при расследовании насильственных преступлений», Минск, 2003;

[74] სამოსამართლეო-საექიმო გვამების გამოკვლევის წესები, ს.ს.ს.რ. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი, ტფილისი, 1925, გვ. 1.

3.2. გვამი, როგორც „უვარგისი“ ნივთმტკიცება

საგამოძიებო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც გვამი ითვლება, როგორც „გვიან“ ნაპოვნ ნივთმტკიცებად, რომლის რადიკალურმა ფიზიოლოგიურმა სახისცვლამ, შესაძლოა, გამოძიების პროცესი გაართულოს. მნიშვნელობა აქვს, სად არის ნაპოვნი გვამი, ჰაერში, მიწაზე/მიწაში, წყალში თუ ვაკუმში, რა ტემპერატურაზე იყო იგი და ა.შ.

ნებისმიერი ტიპის გვამური ცვლილებები გვამური ცვლილებების კლასიფიკაცია ხდება ორ ტიპად: 1) ნაადრევი გვამური ცვლილებები; 2) მოგვიანებითი გვამური ცვლილებები.

ნაადრევი გვამური ცვლილებები ვლინდება პირველი 24 საათის განმავლობაში, რომლებსაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიხედვით, მიეკუთვნება: გვამის გაცივება, გვამური გაშეშება, გვამური გაშრობა, გვამური ლაქების განვითარება და აუტოლიზი. (ანუ, თავისთავად წარმოქმნილი თვითმონელება). რაც შეეხება მოგვიანებით გვამურ ცვლილებათა ჯგუფს, მათ განეკუთვნება: გვამური ლპობა/ხრწნადობა და სხვადასხვა კონსერვაციის სახე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარეგანი დათვალიერებისას ყურედღება უნდა მიექცეს გვამის კანის თვისებებს. კერძოდ, „კანის თვისებანი: ლპობითი შეფერიანება, სიმკრთალე, სილურჯე ან სიყვითლე, თუ კანზე არის ლაქები, უნდა იყოს დაწვრილებით აღწერილი მათი შეხედულება, ოდენობა და ადგილი მათ მიერ დაკავებული.“[75]

გვამური გაცივებაა: „სიკვდილის შემდეგ გვამში სიცოცხლისათვის დამახასიათებელი ნივთიერებათა ცვლის და სითბოს გამოყოფა წყდება და იწყება სხეულიდან სითბოს გაცემა, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ გვამის ტემპერატურა არ გაუთანაბრდება გარემოს ტემპერატურას, ან გვამიდან წყლის აორთქლების გამო ერთი-ორი გრადუსით უფრო არ დაეცემა.“[76] აქედან გამომდინარე, მკაფიოდ იკვეთება გარემოს ხელის შემწყობი ფაქტორი გვამთან მიმართებაში ანუ ტემპერატურა როგორია, ცხელა თუ ცივა.

გვამური გაშეშება: „წარმოადგენს, სიკვდილის შემდგომ კუნთების გამკვრივებასა და გამაგრებას, რის გამოც გვამი განსაზღვრულ პოზას იღებს. სიკვდილის დადგომას კუნთების მოდუნება მოჰყვება, ისინი რბილი და დამყოლია, მაგრამ სიკვდილიდან 1-3 საათის შემდეგ

---

[75] სამოსამართლეო-საექიმო გვამების გამოკვლევის წესები, ს.ს.ს.რ. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი. ტფილისი, 1925, გვ. 5;

[76] ბ. კილასონია, „სასამართლო მედიცინა”, სასამართლო მედიცინის საგანი და საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძველი, თბ., 2011, გვ. 29.

იწყება ქუთუთოებისა და საღეჭი კუნტებით გაშეშება, რომელიც თანამიმდევრობით ვრცელდება სხეულის სხვადასხვა ნაწულებზე. გაშეშება უმაღლეს დონეს 24 საათში აღწევს, შემდეგ იწყება თანდათანობით კუნთების მოდუნება და გაშეშება იხსნება 2-3 დღის შემდეგ. გვამის გაშეშება მჭიდროდაა დაკავშირებული მრავალ შინაგან და გარეგან ფაქტორთან. არსებობს ე.წ. „კატელეფსიური“ გაშეშება, რომელიც იშვიათია და ვითარდება მყისიერად, ყველა ჯგუფის კუნთებში ერთდროულად სიკვდილის დადგომისთანავე.“[77] როგორც აღინიშნა, გვამური გაშეშების მექანიზმი რთულია. ამ უკანასკნელის დახმარებით შესაძლოა ვიმსჯელოთ სიკვდილის ხანდაზმულობაზე და გვამის პოზაზე.

გვამური ლაქები: „გულის მუშაობის გაჩერების შემდეგ, სისხლი და ორგანიზმის სხვა სითხეები სიმძიმის ძალით გადანაწილდება გვამის ქვემდებარე ნაწილებში. თუ გვამი გულაღმა წევს, სხეულის ზედა ნაწილები სისხლით ღარიბდება, რის გამოც კანი მოლურჯო-მოთეთრო ფერს ე.წ. „მკვდრის ფერს“ იღებს, ხოლო გვამის უკანა ნაწილების ზედაპირზე შეინიშნება მოლურჯო-მოწითალო ან მოოისფერო შეფერილობის, ეს არის ლაქები რომელიც არ არის შემოსაზღვრული და მათ ნაადრევი, ჰიპოსტაცური გვამური ლაქები ეწოდება, რომლებიც ვითარდებიან სიკვდილიდან 2-4 საათში, იშვიათად 5-6 საათში. სიკვდილიდან 6-8 საათის გავლის შემდეგ გვამური ლაქა ზეწოლით აღარ ქრება, მხოლოდ ფერმკრთალდება და მას „დიფუზურ ლაქებს“ უწოდებენ.“[78]

აქაც აღსანიშნავია, რომ გვამური ლაქების განვითარების სისწრაფე და ინტენსივობა დამოკიდებულია როგორც გარემო მაპროვოცირებელ ფაქტორებზე, ასევე, გვამის თავისებურებებზე. გვამური ლაქებით შესაძლებელია სიკვდილის ხანდაზმულობის დადგენა. აღნიშნულის ფერი შესაძლოა მიუთითებდეს ზოგიერთი სიკვდილის სახეობაზეც კი. გვამური ლაქები შესაძლოა მეტყველებდე გარემო ფაქტორების ზემოქმედებაზე გვამთან მიმართებაში.

გვამის გაშრობა: „გვამიდან სითხეების აორთქლების შედეგია, რის გამოც კანი და ლორწოვანი გარსები წყალს კარგავენ. გაშრობა ინტენსიურია ლორწოვანი გარსებიდან და კანის უბნებიდან, სადაც რქოვანა შრე ნაზი და თხელია. ღია თვალების შემთხვევაში, სკლერები სწრაფად განიცდის გაშრობას და მორუხო-მოყვითალო ფერს იღებს. ამ მორუხო-მოყვითალო უბნებს, „ლარშეს ლაქები“ ეწოდება. ასეთი ლაქები სიკვდილიდან 4-5 საათში ვითარდება.“[79]

---

[77] ბ. კილასონია „სასამართლო მედიცინა”, სასამართლო მედიცინის საგანი და საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძველი, 2011, გვ. 30;
[78] იქვე, გვ. 31;
[79] იქვე, გვ. 34.

რაც შეეხება მოგვიანებითი გვამური ცვლილებების ჯგუფს, ხრწნა/ლპობის პროცესი ეკუთვნის: „მოგვიანებით გვამურ ცვლილებებს და იგი გამომჟღავნდება ქსოვილების ფერის შეცვლით, დარბილებით და ცუდი სუნით. ლპობის სხვა სახეცვლილებებიდან შეიძლება შეგვხვდეს: ქონცვილი, მუმიფიკაცია და ტორფით დათრიმლვა.“[80]

„ლპობა არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს გვამის ქსოვილებში აერობული და ანაერობული მიკრობებით. სიკვდილის შემდეგ იწყება მიკროორგანიზმების სწრაფი გამრავლება, რომლებიც დიდი რაოდენობით გამოყოფენ პროტეოლიზურ ფერმენტებს. ლპობის დროს ორგანიზმში პათოგენური მიკრობული ფლორა იღუპება, რის გამოც სიკვდილიდან 24 საათის შემდეგ, გვამის გამოკვლევისას გვამიდან დაავადების გადადება აღარ არის მოსალოდნელი. ლპობის სიჩქარეს და მის ინტენსიობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს.

ლპობის ხელის შემწყობია ტემპერატურა, მაღალი ტენიანობა, (ჰაერზე გვამი 2-ჯერ უფრო სწრაფად განიცდის ლპობას, ვიდრე წყალში და 8-ჯერ მეტად, ვიდრე მიწაში. ეს განპირობებულია ჟანგბადის შედარებით ნაკლები რაოდენობით წყალში და მიწაში). ლპობითი პროცესი შეუმჩნევლად იწყება სიკვდილის შემდეგ პირველ საათებში, ნაწლავებში. ასევე, ლპობას ხელს უწყობს სიკვდილის მერე სისხლის შეუდედებლობა. აჩქარებს სეფსისი ან რომელიმე ინფექცია, რითიც გარდაიცვალა ადამიანი, ასევე, სწრაფი ლპობითი პროცესი ვითარდება ახალშობილთა გვამებში და მსუქანი ადამიანების შემთხვევაში.“[81]

მუმიფიკაცია: „ანუ გვამის ძლიერი გამოშრობა, რომელიც ვითარდება მაღალი ტემპერატურის, მშრალი გარემოსა და კარგი ვენტილაციის პირობებში, რაც ხელს უწყობს გვამიდან სითხის ინტენსიურ დაკარგვას. გვამის სრული მუმიფიკაცია შესაძლებელია 6-12 თვის განმავლობაში, ხოლო ოპტიმალურ პირობებში - 2-3 თვეში.“[82]

ქონცვილი: „ვითარდება ჟანგბადის ნაკლებობისა და მომატებული ტენიანობის პირობებში. ასეთი გარემო უხშირესად იქმნება წყალში და ნესტიან თიხნარ ნიადაგში, სადაც გვამის კანი მაცერაციას განიცდის, რაც ხელს უწყობს ქსოვილებში და ორგანოებში წყლის შეღწევას. ქონცვილის ფორმირება იწყება კანქვეშა ცხიმოვან უჯრედისში. 3-4 თვის შემდეგ ქონცვილი კარგად გამოიხატება კუნთებში. გვამის ქსოვილები ქონვილად გარდაიქმნება დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში.“[83]

ასეთი ტიპის გვამების გამოკვლევით შესაძლოა პასუხი გაეცეს სიკვდილიდან გასული დროის მიუხედავად გამოძიებისთვის ბევრ საინტერესო კითხვაზე.

---

[80] ვ.ს. შანიძე „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (გვამის ექსპერტიზა)“, 1956, გვ. 15;

[81] ბ. კილასონია, „სასამართლო მედიცინა”, სასამართლო მედიცინის საგანი და საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძველი, თბ., 2011, გვ. 35;

[82] იქვე, გვ. 37;

[83] იქვე, გვ. 38.

ტორფით დათრიმლვა: „შეიმჩნევა ტორფიან ნიადაგში, ჭაობებსა და ტბებში გვამის დიდი ხნით მოთავსებისას. ტორფით დათრიმლვა გვამს დიდი ხნის განმავლობაში ინახავს, დიდი ხნის განმავლობაში გვამის ბუნებრივი კონსერვაცია შესაძლებელია განვითარდეს ყინულში, გაყინულ მიწაში, მაღალი კონცენტრაციის მარილიან წყალში, ნავთობში და სხვ.“[84] სწორედ ეს ფაქტორია მიზეზი, რისი დახმარებითაც ასეთი გვამების გამოკვლევით გამოძიება იღებს მისთვის საინტერესო ბევრ კითხვაზე შესაბამის პასუხს. აღინიშნება გვამის ბუნებრივი კონსერვაციის საკითხი.

რაც შეეხება გვამის ხელოვნურ კონსერვაციას, ე.წ. ბალზამირებას, „გვამის ხელოვნური კონსერვაციის ყველაზე გავრცელებული მეთოდია არტერიულ სისტემაში წნევით ანტისეპტიკური სითხის შეყვანა (კერძოდ, ფორმალინი, სპირტი და ა.შ.).[85]

გვამი შესაძლოა იყოს უვარგისი, თუ იგი განადგურებულია სხვადასხვა ზემოხსენებულ განმარტებებში რომელიმე მაპროვოცირებელი ფაქტორის გამო.

აღსანიშნავი და გასათვალისწინებელია გარემო თუ ფიზიოლოგიური ფაქტორის მოქმედების გარდა, თუ რა მოხდა ანუ რამ გამოიწვია სიკვდილი, გვამზე შეინიშნება თუ არა ჟანგბადის მწვავე უკმარისობით გამოწვეული სიკვდილი ან/და დაზიანება (მათ შორის: სასუნთქი გზების დახშობა უცხო სხეულებით, ჩამოხრჩობა, თუ მოხრჩობა. კერძოდ, რა სახის „გაგუდვას“ აქვს ადგილი, აღინიშნება თუ არა ცხვირისა და პირის შესავლის დახშობა, სითხეში დახრჩობა და ა.შ.). ასევე, გასათვალიწინებელია როგორც მექანიკური, ისე სტრანგულაციური, კომპრესიული ანუ ტრამვული, ობტურაციული თუ ასპირაციული ასფიქსია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვლენათა არაკლასიკური ტენდენციების განვითარების შემთხვევაში გვამი შესაძლოა იყოს შემთხვევით განადგურებული, თუ მისი პოვნა დიდი ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა და მწერებმა გაანადგურეს. „სასამართლო სამედიცინო თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია გვამის მწერებით განადგურება. მწერების განვითარების ციკლის მიხედვით სიკვდილის ხანდაზმულობის დადგენას შეისწავლის სასამართლო-სამედიცინო ენტომოლოგია.“[86]

გვამი შესაძლოა განადგურებული იყოს რომელიმე ცხოველის ან ფრინველის მიერ, ხოლო წყალში არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაზიანებული იყოს თევზების ან წყლის სხვა ბინადრების მიერ.

---

[84] ბ. კილასონია, „სასამართლო მედიცინა“, სასამართლო მედიცინის საგანი და საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძველი, თბ., 2011, გვ. 39;

[85] Шардин С.Ф., Гирько С.И., Николаев С.В., Верхолина Е.В., Николаев В.Н., Николаева Г.С., «Судебная Медицина (общая и особенная части)», М., 2006;

[86] ბ. კილასონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

აღსანიშნავია შემდეგი: თუ მწერების მიერ ხდება გვამის განადგურებაა/დაზიანება და ვერ დგინდება გარდაცვალების მიზეზი, ვინაიდან ფაქტობრივად იგი თითქმის განადგურებულია, ძვლებისა და კბილების შესაძლოა გარდაცვალების ხანდაზმულობის დადგენა.

გასათვალისწინებელია სხვადასხვა მწერის ტიპი და მათი გამრავლება/კვერცხდების ვადები გარკვეულ დროსა და სივრცეში, ტემპერატურასა თუ გარემო ფაქტორებში.

ბუზების შემთხვევაში, უპირველესად უნდა გაირკვეს, კერძოდ რომელი სახეობის ბუზთან გვაქვს შემხებლობა. „ბუნებაში არსებობს სხვადასხვა ფერის ბუზები (შავი, რუხი, მწვანე, „ჭარხლის ბუზი“ და სხვა). შესაბამისად, ამ ტიპის წარმომადგენელი მწერები განსხვავებული დროის პერიოდში დებენ კვერცხს.“[87] ამიტომ, აუცილებელია დადგინდეს ნებისმიერი მწერის სახეობა, რომელიც აღმოჩენილი იქნა გვამზე.

მაგალითად, „ბუზები გვამის შედარებით სველ ადგილებში კვერცხდებიან 10-30 საათში და წარმოიქმნებიან მატლები რომლებიც პროტეოლიზური ფერმენტების გამოყოფით რბილი ქსოვილების სწრაფ დაშლას იწვევენ. ჭუპრები 2 კვირაში ბუზებად გარდაიქმნებიან. ჰაერის 15-20°C ტემპერატურაზე ბუზების წარმოქმნის პროცესს სამი კვირა სჭურდება. უფრო მაღალ ტემპერატურაზე ბუზების გამრავლება ჩქარდება. ბუზის მატლებს შეუძლიათ მოზრდილის გვამის შემთხვევაში რბილი ქსოვილები 3-4 კვირაში გაანადგურონ, ხოლო ჭიანჭველებს 4-8 კვირაში შეუძლიათ მოზრდილი ადამიანის გვამის სრული სკელეტონიზაცია.“[88]

---

[87] გ. ყანჩაველი, ენტომოლოგია, თბ., 1976, გვ. 181;

[88] ბ. კილასონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

3.3. სპეციფიური მკვლელობების გამოძიების მეთოდიკა

პირობითად განვიხილოთ შემდეგი - თუ ნაპოვნია გვამი საეჭვო ვითარებაში და არაა დადგენილი გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი, იქამდე მკვლელობის ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება.

დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა მოიცავს ფართო სპექტრს. როგორც აღინიშნა საგამოძიებო პრაქტია საკმაოდ მდიდარია, „თვითმკვლელობის ინსცენირებით“ „შეიძლება ადამიანის გვამი აღმოჩენილია თვითმკვლელობის პოზაში და მასზე არსებული ზოგიერთი ნიშანი საფუძველს გვაძლევს, სავარაუდოდ, რომ მის მიმართ ჩადენილია მკვლელობა შენიღბული სახით, ან ადგილი აქვს პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას. მკვლელობის ჩადენის ყველა ხერხის აღწერა შეუძლებელია. მისი კრიმინალისტიკური დახასიათების თვალსაზრისით, საყურადღებოა საგამოძიებო პრაქტიკაში უფრო ხშირად შემჩნეული შემთხვევები როგორიაა: მკვლელობია ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით; ბლაგვი ან მჭრელი (ბასრი), ან მჩხვლეტავი ხარისხის დაზიანების გამოყენებით; მატარებლიდან ან სხვა სახის კვების პროდუქტიდან ერთად სიცოცხლისთვის შაშიში საწამლავის მიცემით; პირის მოგუდვა სასუნთქი გზების გადაკეტვით (ასფიქსიით);“[89] როგორც აღვნიშნეთ, გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისა თუ განზრახ მკვლელობის კვლების დაფარვის მიზნით, კრიმინალები ხშირად მიმართავენ ისეთ ხერხებს, რომლებითაც იქმნება შთაბეჭდილება თითქოს უბედურ შემთხვევას ან/და განზრახ საკუთარი სიცოცხლის მოსპობას აქვს ადგილი მსხვერპლის მიერ. საგამოძიებო სპექტრის პრაქტიკა მდიდარია მსგავსი მაგალითებით. „მკვლელობის შემდეგ გვამს ათავსებენ თავისივე ავტომანქანაში და აგდებენ ადიდებულ მდინარეში, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის იმიტაციით ან პირს გადაუკეტავენ სასუნთქ გზებს (მოგუდავენ) და შემდეგ მდინარეში, ტბაში ან ზღვაში გადააგდებენ, ან გვამს მატარებლის რელსებზე მოათავსებენ, ან ჩამოჰკიდებენ ხეზე და ქმნიან თვითმკვლელობის (ჩამოხრჩობის) ინსცენირებას. და ა.შ“[90] მაგალითად, შესაძლოა გვამი ნაპოვნი იყოს მანქანაში, ზაფხულის პერიოდში, შემთხვევის ადგილზე იყოს აღმოჩენილი ფსიქოტროპული წამლების ცარიელი ფირფიტები, იქვეა წყლის ბოთლი და მასში დარჩენილი გაურკვეველი მასალა, რაც ჰბადებს გონივრულ ეჭვს, რომ შესაძლოა საქმე გვქონდეს თვითმკვლელობის კლასიკურ შემთხვევასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ავტომანქანის ოთხივე ფანჯარა შესაძლოა იყოს დალუქული და ვერ აღწევდეს მასში ჰაერი, ითვლება, რომ გვამი ნაპოვნია ჰაერზე. ლპობასთან

---

[89] თ. კენკებაშვილი, „მკვლელობათა გამოძიების მენეჯმენტი”, თბ., 2017, გვ.42.
[90] იქვე, გვ.43;

დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი რამ: ზაფხულის პერიოდში ეს პროცესი არის დაჩქარებული. ამიტომ, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება 48 საათში აღმოჩენის შემთხვევაში, გარეგანი დათვალიერებით შენიშვნა, განხორციელებული იყო თუ არა მასზე რაიმე სახის ზემოქმედება.

აქ აღსანიშნავია მთავარი რამ: ხომ არ არის „თვითმკვლელობამდე მიყვანა“ ან/და „თვითმკვლელობის ინსცენირება“ ანუ, რეალურად კარგად ორგანიზებული განზრახი მკვლელობა.

მაშინ, როდესაც მტკიცებულებათა ნუსხა ამყარებს კლასიკური „თვითმკვლელობის“ ვერსიას, გათვალისწინებელი უნდა იყოს სხვა ნიუანსები, რომლებმაც თუ რომელიმე კითხვით ფორმას ღია გრაფა დაუტოვეს, საქმე არ უნდა იყოს დახურული და მითუმეტეს, არ უნდა იყოს „შეცდომით“ დაკვალიფიცირებული. ზემოხსენებული შემთხვევის დროს თუ გვამზე აღმოჩენილ იქნა დიდი რაოდენობით მწერის კვერცხი, ჩნდება კითხვა: საიდან, თუ ყველა ფანჯარა დახურულია, მწერი ფიზიკურად როგორ მოხვდებოდა დახურულ სივრცეში? შესაბამისად, ეს უკანასკნელი იძლევა იმის გონივრული ეჭვის საფუძველს, რომ დავუშვათ, შესაძლებელია გვამი მიწაზე იყო ნადები და შემდეგ მოხდა მისი მანქანაში მოთავსება.

საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა გამოყოფს „...გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითს. კერძოდ, ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების - განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრას.

ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების არასწორი შეფასება შეიძლება საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების საფუძველი გახდეს. უფრო მეტიც, მთელ რიგ შემთხვევებში ამას შეიძლება მოჰყვეს პირის უმართებულო სისხლისსამართლებრივი პასუხისგების წინაშე დაყენება ან/და დამნაშავე იყოს დაუსჯელი.“[91]

აქვე აღსანიშნავია, რომ არის შემთხვევები, როდესაც დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე პირებმა ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად შეასრულეს სხვადასხვა სახის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება. გამოძიების პროცესში უნდა გამოიკვეთოს და დადგინდეს, თუ რაში გამოიხატა თითოეული მათგანის როლი და ისე მოხდეს მათ მიერ ჩადენილი ქმედებათა შეფასება, კვალიფიკაციისა და სასჯელის განსაზღვრა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, საგამოძიებო პრაქტიკაში ამ მოთხოვნას ყოველთვის სწორად არ იცავენ.“[92]

თუ გვამი არის ფაქტობრივად არაფრის მომცემი გარეგანი დათვალიერებით და გარემოება აჩენს გარკვეულ კითხვებს, აქ აუცილებელია კომისიური ან/და კომპლექსური

---

[91] შ. ფაფიაშვილი „მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის პრობლემები” (თეორია და პრაქტიკა), გვ.44. თბ., 2004;
[92] იქვე, გვ.59;

სახის ექსპერტიზის დანიშვნა[93], რომლის საფუძველიც იქნება გარემოებათა დადგენა. სწორედ ამ უკანასკნელის კომპეტენციაა დაადგინოს, როდის დაიწყო გვამმა ლპობა (გარემო პირობების გათვალისწინებით), თუ არის აღმოჩენილი რაიმე სახის მომწამვლელი ნივთიერება ორგანიზმში. ამ შემთხვევაში დასადგენია კონკრეტულის ზემოქმედება როგორ აღიქმეოდა გვამურ ნაადრევ თუ მოგვიანებით ცვლილებებზე.

თუ გვამის გარეგანი დათვალიერება ფაქტობრივი მტკიცებულების მომცემი არაა მისი „უვარგისობის“ გამო, მაშინ შინაგანი გვამის შინაგანი დათვალიერების შედეგად, უნდა მოხდეს დიაგნოსტირება, გარდაცვლილი პირის სიცოცხლეში არშებული ჯანმრთელობის პრობლემების კვალობაზე, თუ არის მომწამლავი ნივთიერების მოქმედებით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანება ან/და სიკვდილი, უნდა დადგინდეს მოწამვლის განვითარება როგორი იყო ორგანიზმში, (ანუ, ტოქსიკოდინამიკა) მოწამვლის დიაგნოსტიკა, რომელიც შეისწავლის მომწავლელი ნივთიერების მსხვერპლის ორგანიზმში მოხვედრის გზებს. გასათვალისწინებელია, რომ არსებობს შხამქიმიკატებით, ბაქტერიული კვებით, დეტრუქციული შხამებით, მწვავე შხამებით, ფუნქციური შხამებით, კვებით, ზოგადფუნქციური შხამებით მოწამვლის გზები და სხვა,).[94]

შესაძლოა ჩატარდეს: 1. ბიოლოგიური ექსპერტიზა, 2. სისხლის ექსპერტიზა, რომელიც მოიცავს: ა) სისხლის სახეობის დადგენას; ბ) სისხლის ჯგუფის დადგენას.

აუცილებელია გათვალისწინება იმისა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთან თუ არ იქნა დასმული კონკრეტული კითხვები, მისი კომპეტენცია არაა საკუთარი ვერსიებიიდან გამომდინარე, რაიმეს გამოკვლევა ან/და სასამართლო სამედიცინო კუთხით თვითნებურად გამოძიება ან/და კვლევა. ამიტომ, აუცილებელია გამომძიებელმა დასვას საქმის გამოძიებისთვის საჭირო შეკითხვები.

რაც შეეხება მკვლელობის გახსნის თავისებურებებს, როცა არსებობს დაუსაბუთებელი ვარაუდო, რომ ჩადენილია მკვლელობა, მაგრამ უცნობია გვამის ადგილსამყოფელი, მსგავსი „უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეების გახსნა, როცა გონივრული ეჭვია რომ, შესაძლოა იყოს ჩადენილი მკვლელობა, ცხადია, მთელ რიგ სირთულებთანაა დაკავშირებული. მაგრამ მის გაუხსნელობას, როგორც პრაქტიკა ვიჩვენებს, ხელს უწყობს ოპერატიულ-სამძებრო საქმეების ფორმალური, არადროული შედგენა და მათი უმოძრაოდ დება.“[95]

---

[93] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015;

[94] Шардин С.Ф., Гирько С.И., Николаев С.В., Верхолина Е.В., Николаев В.Н., Николаева Г.С., «Судебная Медицина (общая и особенная части)», М., 2006.

[95] თ. კენკებაშვილი, მკვლელობათა გამოძიების მენეჯმენტი, თბ., 2017, გვ. 138;

აღსანიშნავია ასევე მეორე სახის პრობლემატიკა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის გონივრულ ვადებში, კერძოდ, მაქსიმალურად სწრაფად, დაუდგენლობისა: „...საგამოძიებო ორგანოები არასრულფასოვნად ახდენენ დაკარგულ პირთა ნათესავებთან ან/და ამ ინფორმაციის მომწოდებელ პირებთან გასაუბრებას, მათთვის არასრულყოფილი ახსნა-განმარტებების ჩამორთმევას; ასევე არასათანადო ყურადღება ექცევა დაკარგული პირის გარეგნობის, მისთვის დამახასიათებელი ჩვევების, ანატომიური და ფუნქციონალური ნიშნების აღწერას. იმ ნივთებისა და ჩაცმულობის აღწერას, რითაც იყო იგი ჩაცმული და შემკული დაკარგვის დღეს; სად და ვის უნდა შეხვედროდა ან ვისთან ერთად გავიდა სახლიდან.

უფრო მეტიც, საგამოძიებო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ზოგჯერ საერთოდ არ ახდენენ დაკარგული პირის ახლო ნათესავებთან გასაუბრებასა და მათთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევას ან საკმაოდ მოგვიანებით, ფორმალურად ადგენენ სამძებრო საქმეს და არავითარ ზომებს არ იღებენ დაკარგული პირის დასაძებნად, მისი ადგილსამყოფელის დასადგენად და იმის გასარკვევად - დასაძებნი პირი მკვდარია თუ ცოცხალი.“[96]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიების პრობლემის აღმოსაფხვრელად ოპტიმალური გამოსავალი იქნება, თუ, პირველ რიგში, სამართალდამცავების მხრიდან სამსახურეობრივი ვალდებულების/უფლებამოსილების დისციპლინირებული, პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძნებით სისხლისსამართლებრივი საქმის/გამოძიების წარმოების დაწყება, დაგეგმვა და სისრულეში მოყვანა გარკვეული დანაშაულის გახსნისათვის.

რაც შეეხება ცალკეულის სახის მკვლელობების გახსნის გამოძიების მეთოდიკას, უნდა აღინიშნოს, რომ „გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი აუცილებელი გარემოებები: ა) დანაშაულის შემადგენლობის ზოგადი დახასიათება და მტკიცების საგანი; ბ) პირველადი მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყება; გ) პირველადწყებითი საგამოძიებო მოქმედებები, ოპერატიულ-სამძებრო-საგამოძიებო ორგანიზაციული ღონისძიებანი; დ) საგამოძიებო ვერსიების შემუშავებისა და დაგეგმვის თავისებურებანი; ე) საგამოძიებო მოქმედებათა და სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების თავისებურებანი.“[97]

ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი ისახება დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზების დადგენაში, ასევე ხელშემწყობი პირობების გამოვლინების თავისებურებაში და

---

[96] ფაფიაშვილი შ., „მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის პრობლემები“ (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2004, გვ, 201.

[97] შ. ფაფიაშვილი, მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის პრობლემები” (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2004, გვ. 28.

ამ ყოველივეს თავიდან აცილების ღონისძიებებში. ასევე, საზოგადოებრივი ჩამბის/ჩართულობის ალტერნატიული დასაშვებობის თავისებურებები მოცემული სახის დანაშაულის გამოძიებაში.

ხშირ შემთხვევაში, გამოძიებას აფერხებს ე.წ. „გახმაურებული საქმეების“ მიმართ საზოგადოების მწვავე ინტერესი და მედიის ჩართულობა. ამისათვის აუცილებელია, კონკრეტული საგამოძიებო ორგანოს მიერ მსგავსი შემთხვევის რეგულირება და არსებობის შემთხვევაში, თუ ეს ყოველივე ისახება ხელის შემშლელ ან/და პრობლემურ საკითხად, მიღებული უნდა იქნას შესაბამისი ზომები.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებულ ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის/გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურისათვის გამოირჩევა ერთი გამაერთიანებელი დამახასიათებელი „თვისება“ - აბსოლუტურად ყველა მათგანში მკვეთრად არის გამოხატული კერძო მეთოდიკის შინაარსი.

თავი IV. კვლევის შედეგები

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ მკვლელობა, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია, რადგან კონკრეტული პირი, თავისი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით, ადამიანის სიცოცხლეს ხელყოფს, მაგრამ „მკვლელობად მინეულია არა ყოველგვარი სახით ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რაც გამოწვეულია ერთის მიერ მეორე ადამიანისთვის განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედება.“[98] მკვლელობათა სახეები ერთმანეთისგან არა მხოლოდ სამართლებრივი შემადგენლობების კუთხით, არამედ მათი ჩადენისა და გამოძიების მეშვეობით დასადგენი გარემოებების განსაზღვრისა და შესაძლო თავისებურებებით, გამოძიებისა და მისი გახსნის ხერხებით, საშუალებებითა და მეთოდებით განსხვავდება.

დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები სპეციფიური დინამიურობით ხასიათდება. ასე, მაგალითად, „1999 წელს საქართველოში დარეგისტრირებული იქნა განზრახი მკვლელობისა და მისი მცდელობის 389 შემთხვევა. 2000 წელს მათმა რიცხვმა შეადგინა 422. ე.ი. წინა წელთან შედარებით, 2000 წელს განზრახ მკვლელობისა და მისი მცდელობის შემთხვევები 33 ერთეულით გაიზარდა. 2001 წელს მათი რიცხვი 430 შეადგენდა.

განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობას თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ, მოცემული სამი წლის მონაცემების მიხედვით, იგი შემდეგნაირად გამოიყურება: 1999 წელს რეგისტრირებულ იქნა განზრახ მკვლელობის 244 შემთხვევა, მცდელობისა კი - 145.

მომდევნო 2000 წელს რეგისტრირებულ იქნა 239 განზრახი მკვლელობის შემთხვევა, მცდელობისა კი - 183 შემთხვევა. 2001 წელს რეგისტრირებულ იქნა 263 განზრახი მკვლელობის შემთხვევა, 167 კი - განზრახ მკვლელობის მცდელობისა. 2002 წელს რეგისტრირებულ იქნა 292 განზრახი მკვლელობა. აქედან, 55 სისხლის სამართლის საქმე გაუხსნელია.“[99]

ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციის მოკვლევის შედეგად, „IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ მოთხოვნილია 2003-2014 წლების რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის კერძოდ განზრახი მკვლელობის ან/და მისი მცდელობის სტატისტიკა.

---

[98] შ. ფაფიაშვილი, მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის პრობლემები (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2004, გვ. 17;
[99] იქვე, გვ. 22-23.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ 2003, 2004 და 2005 წლის სტატისტიკური მონაცემები ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე არ მოიძებნება. მოცემულია მხოლოდ 2006 წლიდან 2014 წლის ჩათვლით დაფიქსირებული მკვლელობების რაოდენობა.

კერძოდ, „2006 წელს დარეგისტრირებულია განზრახ მკვლელობის 246 შემთხვევა. წინა წლის მაჩვენებელი 2007 წელს გაზრდილია სამი ერთეულით ანუ დაფიქსირებულია 249 შემთხვევა. 2008 წელს შესამჩნევად მცირდება დანაშაულის კოეფიციენტი. იგი კლებულობს 73 ერთეულით და შეადგენს 176 განზრახი მკვლელობის შემთხვევას.

2009 წლის მონაცემით 35 ერთეულით შემცირებულია განზრახ მკვლელობის სტატისტიკური მაჩვენებელი და იგი შეადგენს 141 შემთხვევას. რაც შეეხება 2010 წელს ზემოთ აღნიშნული დანაშაულის რიცხვს, იგი, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია 34 ერთეულით და შეადგენს 107 შემთხვევას. 2010წლიდან - 2014 წლის ჩათვლით აღნიშნული დანაშაულის სტატისტიკა ინარჩუნებს მინიმალურ მაჩვენებლიან შემთხვევებს სხვა წლებთან შედარებით. კერძოდ, 2011 წელს დაფიქსირებული განზრახ მკვლელობის კოეფიციენტი არის 90 შემთხვევა, რაც წინა წლის მონაცემთან 17 ერთეულიან სხვაობას გვაძლევს.

2012 წელს განზრახ მკვლელობის დანაშაულის მაჩვენებელი იზრდება 13 ერთეულით და შეადგენს 103 შემთხვევას. 2013 წლის მხოლოდ ოქტომბრის თვეში ფიქსირდება 102 შემთხვევა, რაც წინა წლის კოეფიციენტზე ერთი ერთეულით ნაკლებია და ბოლოს, 2014 წლის ისევ მხოლოდ ოქტომბრის თვეში დაფიქსირებული განზრახ მკვლელობის ფაქტი, რომელიც წინა წელთან შედარებით შემცირებული გახლავთ, 18 ერთეულით და შეადგენს 84 შემთხვევას“.[100]

ჩვენ არ ვიცით, რამდენად სანდოა აღნიშნული წყარო, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, იგი მოპოვებულია ინტერნეტ სივრცის მეშვეობით და არ არის გამორიცხული, იყოს რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებიდან გამომდინარე დაკვეთილი და შეიცავდეს მცდარ ინფორმაციას. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი გახლავთ კვლევის ერთადერთი შედეგები, რაც ღიად ფიქსირდება ინტერნეტში მოძიებულ ინფორმაციათა შორის.

იმავე წყარო აქვეყნებს 2014, 2015 და 2016 წლის სექტემბრის თვის კვლევის შედეგებს, სადაც ფიქსირდება 2014 წელს სექტემბრის თვეში 599 დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ, მომდევნო, 2015-ში მაჩვენებელი იზრდება 24 ერთეულით და შეადგენს 623 შემთხვევას,

[100] „IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ - ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა 2004-2014 წლის ჩათვლით.

ხოლო 2016 წელს აღნიშნული დანაშაულის კოეფიციენტი მატულობს მთელი 120 ერთეულით და შეადგენს 743 შემთხვევას.[101]

გამოქვეყნებულია რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ.გვერდზე 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, სადაც ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, სსსკ-ის 108-ე მუხლიდან სსსკ-ის 116-ე მუხლის ჩათვლითაა შეჯამებული და გამოანგარიშებული პროცენტული მაჩვენებლის მითითებით.[102]

კვლევის შედეგები უშუალოდ 2020 წელს ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თვეების შესაბამისად აქვს გამოქვეყნებული.[103] ჩვენ დავაჯამეთ და გთავაზობთ 2019 და 2020 წლის მანძილზე ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებელს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის მონაცემები მხოლოდ ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა ჯამური მაჩვენებელი შეადგენდა - 3273 შემთხვევას 2019 წლის მანძილზე. ხოლო 2020 წლის მანძილზე მაჩვენებელმა იმატა 141 ერთეულით და შეადგენდა 3414.

აღსანიშნავია, რომ თუ უკანასკნელი წლების, კერძოდ, ბოლო ორი წლის (2019-2020) დარეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის ნუსხაში გამოვყოფთ და ცალკე დავიანგარიშებთ „მარტივ მკვლელობას“ (სსსკ-ის 108-ე მუხლი) და ასევე „თვითმკვლელობამდე მიყვანას“ (სსსკ-ის 115-ე მუხლი), რამდენი შემთხვევა ფიქსირდება და აქედან რამდენია გახსნილი.

მაშ ასე, 2019 წელს დარეგისტრირებული დანაშაულების რიცხვი სსსკ-ის 108-ე მუხლის გათვალისწინებით შეადგენს - 39 დაფიქსირებულ შემთხვევას, საიდანაც 22 საქმე არის გახსნილი. რაც შეეხება 2020 წლის კოეფიციენტს განზრახ მკვლელობის მუხლზე, რეგისტრირებულია 62 შემთხვევა, აქედან - გახსნილია 47 საქმე. 2019 წლისა და 2020 წლის სტატისტიკური მონაცემის შეფარდებით დანაშაულის ზრდა შეინიშნება 23 ერთეულით, ხოლო საქმის გახსნის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით მაღალია. თუმცა,

---

[101] „IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ - ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა 2014, 2015 და 2016 წლის სექტემბრის თვის მონაცემით;

[102] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტო/საჯარო ინფორმაცია/რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა (2016-2020 წლის ჩათვლით);

[103] საქართველოს სინაგან საქმეთა სამინისტრო/საჯარო ინფორმაცია/რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა, 2019-2020 წლების მონაცემები.

გასათვალისწინებელია, რომ დარეგისტრირებული დანაშაულების რიცხვი ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღემატება წინა წლისას.

სსსკ-ის მხოლოდ 115-ე მუხლით, კერძოდ თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი 2019 წელს შეადგენს 2713 შემთხვევას, ხოლო 2020 წელს აღნიშნული დანაშაულის სტატისტიკური მაჩვენებლით დაფიქსირებულია 2871 შემთხვევა. ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების, 2019 წლისა და 2020 წლის კოეფიციენტების შედარებით ჩნდება, რომ 2020 წელს დანაშაულმა იმატა 158 ერთეულით. რაც შეეხება გახსნილი საქმეების რაოდენობას, მასზე აქცენტირება ამ შემთხვევაში უსაზღვროდ უაზრო იქნება.

ამ სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე ჩანს, რომ აშკარა პრობლემაა სსსკ-ის 115-ე მუხლით დაკვალიფიცირებული საქმის გახსნასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ ეს არის სწორედ ის საფუძველი, რათა კანონმდებელი დაფიქრდეს ამ მუხლის კორექტირებაზე დაზუსტებაზე, რაზეც არა ერთხელ მოვახდინეთ აქცენტირება.

აშკარაა, რომ ამ ტიპის დანაშაულებრივი ქმედების გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული სახის სხვა პრობლემებიც. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს ფუნდამენტად უდევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული რეგისტრირებული დანაშაულების და გახსნილი საქმეების სტატისტიკური მონაცემები.

ამ შემთხვევაში, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, აშკარა საჭიროებას მოითხოვს საგამოძიებო ორგანოთა კადრების კომპეტენციის/კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მათთვის ისეთი საკითხების სწავლება, როგორიცაა კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში რეკომენდირებული დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება და ცალკეულ გარემოებათა დადგენა, გამოძიების სხვადასხვა ეტაპზე აღმოცენებული ტიპური საგამოძიებო სიტუაციები, ვერსიები, მტკიცებულებათა და სხვა კრიმინალისტიკური ინფორმაციების შეკრების პირველადწყებითი და შემდგომი მეთოდები, ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების, კრიმინალისტიკური ოპერაციებისა და ოპერატიულ-სამძებრო-საგამოძიებო თუ საინსპექციო ორანოებთან გამომძიებლის ურთიერთქმედების ტაქტიკური და მეთოდური თავისებურებები, გამოძიების პროცესში სპეციალური ცოდნის გამოყენების თავისებურებები, დანაშაულის თავიდან აცილების თავისებურებები[104]

[104] შ. ფაფიაშვილი, მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის პრობლემები (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2004, გვ. 28-29.

დასკვნა

დანაშაული და მისი შემადგენელი ყველა ელემენტი უნდა აღვიქვათ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ვინაიდან, თავად სამართალი ორგანული და ცოცხალია. ის მჭიდრო კავშირშია ადამიანთან. როგორც აღინიშნა, სწორედ ეს უკანასკნელია მისი დამაარსებელი, დამრღვევი, მარეგულირებელი და მათ შორის, მსხვერპლიც. იგი ფუნდამენტურად დაკავშირებულია ადამიანთან. ადამიანი - ცოცხალი ორგანიზმი, რომლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ან/და უმოქმედობით შესაძლოა, მის წინააღმდეგ დაიწყოს გამოძიება.

აქედან გამომდინარე, ადამიანი ფსიქოლოგიური კუთხით დღემდე შეუცნობელია, ვინაიდან, მისი ცნობიერის მიღმა არსებობს არაცნობიერი და თავად ადამიანმაც კი არ იცის, როგორ შეიძლება მოიქცეს კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც მას, შესაძლოა ჰქონდეს ემოციური სიბრმავე და იმყოფებოდეს სტრესულ მდგომარეობაში. ამიტომ, ყოველი საქმე არის ახალი და ცოცხალი, ვინაიდან შემხებლობა გვაქვს ინდივიდთან, რომლის ანალოგიც ბუნებაში არ არსებობს.

ამისი მადასტურებელია კრიმინალისტიკური კუთხით თითის ანაბეჭდები. ნაშრომში განვიხილეთ თვითმკვლელობის ფსიქო-ტიპოლოგიური ასპექტები, რაც დაგვეხა მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის დადგენაში და ეს ყოველივე განაპირობებს მართებული ხედვის ჩამოყალიბებას, რომლის მეშვეობითაც, შესაძლებლობა იქმნება, რომ მეტად ადექვატურად მოხდეს მოვლენების შეფასება და სამომავლოდ დანაშაულის მართებული კვალიფიცირება.

ასევე, ნაშრომში განვიხილეთ დამნაშავის ფსიქო-კრიმინოლოგიური ტიპები, რისი ცოდნაც ერთ-ერთი დამხმარე ფაქტორია, საქმის გამოძიების პირველ ეტაპზე ადექვატური წარმოდგენა შეგვექმნას როგორც დამნაშავეზე, ასევე მსხვერპლზეც. როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ყველაფერს, რასაც ვხედავთ: ტანსაცმლის სტილს, ფერს, ზომას, თმის ვარცხნილობას, განსაკუთრებულ მახასიათებლებს, თუ მსხვერპლს ეს უკანასკნელი გააჩნია, ატრიბუტიკას, (კერძოდ, რა ნივთები ჰქონდა მსხვერპლს და ა.შ), ასევე, მთლიანობაში, მის გარეგნულ მახასიათებლებს და სხვა.

ნაშრომზე მუშაობისას გავეცანით ექსპერტიზის არსს, ცნებას, მისი კვლევის საგანს, საიდანაც გამოჩნდა, რომ მისი დანიშვნა/ჩართვა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შემთხვევებში, ხშირად მოითხოვს გარდაუვალ აუცილობლობას იმისათვის, რომ დადგინდეს კონკრეტული გარემოებები. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავის მიერ კონკრეტულად უნდა იყოს შემუშავებული კითხვათა ნუსხა, რომელსაც დაუსვამს ექსპერტიზას.

ეს უკანასკნელი კი გასცემს პასუხს, რითიც გამარტივდება/შემსუბუქდება საგამოძიებო პროცესი. უნდა გვახსოვდეს, რომ ექსპერტის კომპეტენცია არაა თვითნებურად ან/და კეთილი ნებით რაიმე გარემოების გამოკვლევა/დადგენა. აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა იყოს შერჩეული კითხვები, მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული, თუ რისი გაგება გვსურს ზემოხსენებული ინსტიტუტისგან.

ჩვენ ვისაუბრეთ გამოძიების დაწყებისას იმ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, რომლებიც გვამის და შემთხვევის/დანაშაულის ადგილის დათვალიერებას ეხება. „შეგროვებული“ ინფორმაცია იძლევა საშუალებას, რომ გამომძიებელმა დასახოს დანაშაულის გამოსაძიებლად სამომავლო მოქმედებების გეგმა, მეთოდი, მეთოდის სტრუქტურა, ხერხები და ა.შ.

როგორც აღინიშნა, ცალკეული სახის მკვლელობების ტიპოლოგია მოიცავს გარკვეული ნივთმტკიცებების შემადგენლობას, სადაც ამ შემთხვევაში მთავარი საკვლევი გახლდათ გვამი. ჩვენ ვისაუბრეთ, როგორი შეიძლება იყოს იგი, რა ვითარებაში, როგორ კონდიციაში და რა შემთხვევებში ნაპოვნი. ასევე, როგორ შეიძლება მოქმედებდეს მასზე სხვადასხვა გარე თუ შიდა ორგანული ფაქტორი.

ასევე, ჩვენს მიერ განხილულ იქნა ის შემთხვევები, როცა გვამი დაზიანებული ან განადგურებულია. ასევე, თუ რამ შეიძლება განაპირობოს გვამის „შემთხვევითი“ განადგურება. ეს ყოველივე კი გვეხმარება იმაში, რომ მეტად გავაცნობიეროთ, „ელემენტარულად“ წოდებული ზედაპირები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა. ეს ერთგვარი მოსამზადებელი საფეხური იქნება, რომელიც დაგვანახებს დანაშაულს სხვა კუთხიდან. შესაბამისად, პრაქტიკული კუთხით გამოუცდელობის შემთხვევაშიც შევძლებთ რომ სწორად დავსახოთ/დავნიშნოთ ექსპერტიზა და ვიცოდეთ, რა შემთხვევაში რისი დადგენაა შესაძლებელი და რას მოგვცემს ეს ყოველივე საერთო ჯამში.

გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ქმედება, რაც ადამიანისგან გამომდინარეობს, არის უნივერსალური და უმრავლეს შემთხვევაში, ვერ იარსებებს იდენტური პრეცენდენტი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ უარი ვთქვათ ფუნდამენტის შესწავლაზე, თუნდაც კრიმინალისტიკის განხრით. იურისტის/სამართალდამცავის ზოგადსაკაცობრიო ცოდნა ფართო სპექტრის მომცველი უნდა იყოს. უპირველესად, მას, პროფესიულ ცოდნასთან ერთად, უნდა გააჩნდეს ლოგიკური აზროვნება, ინტუიცია, პრაგმატულობა და მოხერხებულობა.

ჩვენ ვაპელირებთ იმაზე, რომ აუცილებელია სამართალდამცავს ჰქონდეს პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძნება. უმთავრესია, რომ უყვარდეს მისი საქმე, ასევე ის უნდა იყოს დისციპლინირებული, ოპერატიული, სხარტი აზროვნებისა და პრაქტიკულობის

მქონე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩამოთვლილთაგან, არ ეკიდებოდეს თავის სამსახურეობრივ უფლებამოსილებისა თუ ვალდებულების შესრულება/განხორციელებას გულგრილად.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011;
2. გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობების გამოძიების მეთოდიკა, თბ., 2005;
3. გვეტაძე რ., უეცარი სიკვდილის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საკითხისათვის, თბ., 1964;
4. დეკანოზიშვილი გ., ოდოროლოგია, სახელმძღვანელო იურისტებისათვის. ამერიკის იურისტთა ასოციაცია. თბ., 2012;
5. ვაჩეიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტომი I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946;
6. კენკებაშვილი თ., მკვლელობათა გამოძიების მენეჯმენტი, თბ., 2017;
7. კვარაცხელია რ., განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია, თბ., 2008;
8. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბ., 2008;
9. სამოსამართლეო-საექიმო გვამების გამოკვლევის წესები, ს.ს.ს.რ. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი, ტფილისი, 1925;
10. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი, სარედ. ჯგუფი: ე. კოდუა და სხვ.; გამომც.: ლ. ბერაია, თბ., 2004;
11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015;
12. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი: წიგნი I, ავტ.: მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019;
13. ფაფიაშვილი შ., მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის პრობლემები (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2004;
14. ყანჩაველი გ., ენტომოლოგია, თბ., 1976;
15. შანიძე ვ.ს., სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (გვამის ექსპერტიზა), თბ., 1956;
16. შანიძე ვ., ახალშობილთა გვამების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, თბ., 1965;
17. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად. ტომი VII. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.

უცხოური ლიტერატურა:

18. Harriford, Diane Sue; Thomson, Becky W. (2008). When the Center is on Fire: „Passionate Social Theory for Our Times“;

19. Кикнадзе Д.А., Система факторов действия и развития личности. Тбилиси: Изд. «Сабчота Сакартвело», 1982;

20. Копылова Г.К., Прозоров А.В., Психология и педагогика в деятельности сотрудников ОВД. - ПСИХОЛОГИЯ УБИЙЦ, Калининград, 1998;

21. Погодин И.А., Суицидальное поведение: психологические аспекты, Флинта, 2016;

22. Научно-исследовательский институт проблем криминологии, криминалистики и судебной экспертизы. Использование естественнонаучных знаний при расследовании насильственных преступлений, Минск, 2003;

23. Прокуратура РСФСР - следственное управление «Об опыте расследования умышленных убийств и изнасилований», М., 1968;

24. Шардин С.Ф., Гирько С.И., Николаев С.В., Верхолина Е.В., Николаев В.Н., Николаева Г.С., Судебная Медицина (общая и особенная части), М., 2006;

ნორმატიული აქტები:

25. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონვენცია, ჰააგა., 1998;

26. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;

27. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;

28. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი, 1996.

ინტერნეტრესურსი:

29. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესების შესახებ. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/72610?publication=0)

30. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო/საჯარო ინფორმაცია/რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა. (2016-2020 წლის ჩათვლით.) (https://info.police.ge/page?id=115)

31. საქართველოს სინაგან საქმეთა სამინისტრო/საჯარო ინფორმაცია/რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა. 2019-2020წლების მონაცემები. (https://info.police.ge/uploads/5ead5c656ff81.pdf)

32. კილასონია ბ., „სასამართლო მედიცინა”, 2011წ;
(https://drive.google.com/file/d/1h-J_Agjpu1hVF6YXi6-gcSUqS0DiiQMn/view)
33. ქრესტომათია : მერჩულე გ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“
(http://saunje.ge/index.php?id=1495&option=com_content&lang=ru)
34. ქრესტომათია : „ცხოვრება და მოღვაწეობა წმინდისა მამისა ჩვენისა, გიორგი მთაწმინდელისა.“
(http://logos.org.ge/files/files/Broshura-new.pdf)
35. Durkheim's Suicide: a century of research and debate. W. S. F. Pickering; Geoffrey Walford; British Centre for Durkheimian Studies (2000).
(https://books.google.ge/books?id=9KQO6dGY1cwC&pg=PA25&redir_esc=y#v=onepage&q&f=false)
36. Emile Durkheim. Thompson, Kenneth (1982) London: Tavistock Publications. (l
(https://archive.org/details/emiledurkheim00thom/page/109/mode/2up)
37. „IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ - ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა 2004-2014 წლის ჩათვლით.
(https://idfi.ge/ge/statistic_of_murders_in_georgia)
38. „IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ - ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა 2014, 2015 და 2016 წლის სექტემბრის თვის მონაცემით.
(https://idfi.ge/ge/2016_crime_statistics_and_access_to_information)
39. The Geneva Convention Of 1949 And Hague Convention NO. IV Of 1907.
(https://www.loc.gov/rr/frd/Military_Law/pdf/ASubjScd-27-1_1975.pdf)
40. Suicide: A Study in Sociology, Durkheim Emille, ranslated by John A. Spaulding and George Simpson, edited with an introduction by George Simpson. (Full version)
(https://archive.org/details/emiledurkheim00thom/page/n7/mode/2up)
41. Артемов А.Ю. Кафедра организации раскрытия и расследования преступлений „Психологическая сущность преступного поведения.“ Белгород — 2008
(https://ronl.org/stati/psikhologiya/188435/)
42. "Уголовный кодекс Российской Федерации" от 13.06.1996 N 63-ФЗ (ред. от 30.12.2020)
(http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_10699/)
43. М.И.Еникеев. „Юридическая психология.“
(http://www.pseudology.org/Crim/EnikeevJurPsih.pdf)